



La Géorgie  
 Indépendante  
 Revue mensuelle  
 FÉVRIER  
 1929—N° 50

თებერვალი

1930 წ.

№ 50

# დემოკრატიული საქართველო

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ბ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი პ ა რ ტ ი ე ბ ი ს ო რ გ ა ნ დ.

## შ ი ნ ა ა რ ს ი:

მეთაური—ვა-ბანკ.  
 ანტონ ქ—Post tenebra lux (პერსპექტივებ).  
 დ. შარაშიძე—პანატი ისტრატი საბუ. წინამდევ.  
 —ლი—გ—საქართველო ციფრებით.  
 იტალიელების სამიძიარი ჩვენი გლოვისა გამო.

ჩვენი გულანდილობა.  
 დამსწრე—ქ-ბ. მ. მიურატის მოხსენება.  
 კ—საზავო კონფერენცია.  
 საქართველოს ამბები.  
 რას სწერენ ბოლშევიკებზე და სხვ.

## გ ა - ბ ა ნ კ

რუსი მოხალისე ფილოსოფოსი ვლადიმირ სოლოვიოვი წინასწარმეტყველებდა, რომ რუსეთს მოელონება ანტიქრისტი და ყვითელ-კანიანი ურდოები წაღვეკავენ არა მარტო რუსეთს, მთელს ევროპასაც. პირველი ნაწილი ამ წინასწარმეტყველებისა გამართლდა, მეორე ნაწილს კი იმ მხრივ აქვს შანსი გამართლდეს მომავალში, რომ ჩინეთი და მასთან ერთად ინდოეთიც (700 მილიონი სული) უთუოთ დიდ როლს ითამაშებენ კაცობრიობის ისტორიაში, არა ურდოების სახით, თავის თავათ იგულისხმება.

ვინ არის, თუ არა ანტიქრისტი, სტალინი! ასე ბჭობს განათლებული ქვეყნიერება. სტალინი მეორე სახელს ირქმევს—უღმერთო, და ეს უფრო სწორია, რადგან ის ებრძვის არა მარტო ქრისტეს, არამედ მაჰმადსაც, მოსესაც, ბუდასაც და ვინ იცის კიდევ ვის ღმერთს.

ევროპა და ამერიკა, თქმა არ უნდა, უფრო მგრძობიერია ქრისტეს შევიწინებისთვის. საყდრების ასობით დახურვა-აფეთქება, ხატების ურმებით დაწვა, მღვდლების და ეპისკოპოზების დაურიდებელი ხვრეტა—ყველა ეს მზათ არიან მიაწერონ სტალინის ჭკუიდან შეშლას, მზგავსათ ჩვენი გლეხებისა: მეტი სასწაული რაღათ გინდათ—ეუბნებიან ისინი არამზადებს—ხატებს გაუგებებარათ!

პირველათ რომის პაპიმ აღიმადლა ხმა, შემდეგ ინგლისის პრიმატმა და ამას მიჰყვნენ სხვებიც; დიდი აღელვება სუფევს ყველგან, მოითხოვენ ჩარევას. შეჩერებას ამ ანტიქრისტიულ ზომებისა. მოსკოვი დაცინვით უპასუხებს: არავითარი დევნა სარწმუნოებისა, თვითონ ხალხი ებრძვის მასო, და მოწმედ მიტროპოლიტი სერგი გამოჰყავს, აგრეთვე უკრაინის მღვდელმთავრები, რომელთაც თვითონ გააუქმეს მათი ავტოკეფალია.

თითქო არავინ ფიქრობს იმაზე, რომ სარწმუნოების გაძლიერებული დევნა მხოლოდ ერთი რგოლია ჯაჟვისა, სტალინის უკანასკნელ თამაშისა. ის გადმოდის ვა-ბანკს, ან სულ მთლათ უნდა მოვიგო ან სულ მთლათ უნდა წაგავგო.

გვაგონდება ერთი ეპიზოდი ჩვენი კარლოს ცხოვრებიდან. ეს იყო დემოკრატიულ ყრილობაზედ პეტროგრადში, როცა რუსეთის ბედი წყდებოდა. გაუთავებელ სხდომებისგან მოღლილი კარლო დარბაზის გვერდით იწვა ოთახში, შუბლზედ სველი ტილოთი, და, დაინახა თუ არა შემოსული მეგობარი, მიაძახა: «ჩაუშვეს?!»—არ გასულა ერთი თვეც, ბოლშევიკებმა მართლა ჩაუშვეს რუსეთი საფლავში!

ასევეა ეხლაც. სტალინი გადმოდის საბჭოთა კავშირს, უნდა ის საფლავში ჩაუშვას, ოღონდ სასახელოთ კი დაეცეს, ლამაზათ მოკვდეს, როგორც იტყვიან. დიქტატურა რომ დაეცემა, მას ეხლა უფრო სწამს, ვინემ ჩვენ, მის მტრებს. უკვირს კიდევ ალბათ, რატომ ამდენი ხანი ვერაფერი მომიხერხეს, ვერ ჩამომადგესო! აბა რას არ უშვრება ის ხალხს, წაართვა ყველაფერი, გაფცქვნა, გაატიტვლა, აქცია მონად, ურტყამს, უნგრევს სალოცავს...

ხალხი, მართალია, იწყებს წინამდევობას, ხოცავს დიქტატორის წვრილფეხა აგენტებს, უკიდებს ცეცხლს... მაგრამ ქვეყანა დიდია, განუზომელი, სანამ იგი სტიქიის ალში გაეხვევა, ვინ იცის რამდენი დრო გავა.

სტალინს კი ეჩქარება, არ უნდა «ერთი ქვეყნის სოციალიზმში» ჩაღბეს, ანკი რა სასახელოა მისთვის, «ყველა ქვეყნის პროლეტარიატის» ბელადისთვის.

ტარდიომ სთქვა ამას წინათ, გენ. კუტეპოვის გატაცების გამო: მოსკოვთან დამოკიდებულების გა-

წყვეტა არ არის მართლ საფრანგეთის საკითხი, არც ევროპის, იგი მსოფლიო საკითხია. დიას, დადგა დრო, როცა მთავრობები მიდიან ამ დასკვნაზე, როცა ისინი გმობენ თავისივე ტაქტიკას წარსულში, რაიც მდგომარეობდა სეპარატიულად მოქმედებაში მოსკოვის მიმართ.

ლონდონის კონფერენციის კიდ-კიდვ, საიდანაც ტარდით ჩამობრუნდა, სწორედ ასე აყენებენ კითხვას და, რაც ყველაზე საყურადღებოა, ამერიკის საგარეო მინისტრი სტიმსონი სხვებზე მეტ მუყაითობას იჩენს.

სტალინი ჩქარობს. როგორც ვსთქვით, დასაბუთო აქვს ამისათვის. თუ სახლვა კონფერენციამ კარგათ ჩაიარა, როგორც სარეპარაციო, მაშინ რალა დარჩა, მე მომდგებიან—მსჯელობს სამართლიანათ სტალინი—და შეტევაზე გადადის: თქვენ გინდათ ჩემი აფეთქება, უმალ მე აგაფეთქებთ—ამბობს ის—და სტრატეგიაც სწორეთ ამას მოითხოვს: დაასწრო მტერს დარტყმევა.

აქედან კომინტერნიც თავის როლშია, სიტყვა არ უნდა, როცა ის ავიტაცია—პრეზიგანდიდან შეიარაღებულ გამოსვლებზე გადადის. ჯერ იყო ორი ცდა ორ ძალიან დაშორებულ ქვეყნებში: ინდო-ჩინეთში და გერმანიაში. განსაკუთრებული ყურადღების ღირსია უკანასკნელი. გერმანიის აფეთქება, ეს მართლა ევროპის აფეთქებას მოასწავებს.

«ფორვერტს»-მა, გერმანიის სოციალდემოკრატიის დიდმა ორგანომ, საყვედური გამოუცხადა თავისივე პარტიის ლიდერს. კანცლერ მიულერს, რას შერები, რად აძლევ კომუნისტებს ამდენი თავხედობის ნებასო. კომუნისტებმა უპასუხეს მასიური თავდასხმით, ჩაუბტვირეს გაზეთის სასახლეს ფანჯრები და ბევრი რამ მიღწე-მოღწეეს ბერლინის ცენტრშიც. განმეორდა ის, რაც 1919 წ. სხვა იერიშებით იყო, ამზადებენ ახლებს, და განსაკუთრებით უმუშევართა რაზმებს ეყრდნობიან.

საგულისხმეიროა, გერმანია თითქო ერთად ერთი «კაპიტალისტური რაზისი» იყო თვით მოსკოვის თვალში, რომელთანაც ის მუშაობდა, და გერმანიაც

ხომ დიდ რამეს გამოელოდა აქედან, რას ვხედავთ? მოსკოვი არ ზოგავს არასფერს, რომ ეს «რაზისი» გადაიკიდოს და მთლათ მშრალზე დარჩეს. გაჰკრა იმედები, ილიუზიები, მათ ადგილს რეალობა იკავებს: გერმანია უახლოვდება დასავლეთს, ხოლო საბჭოები—თავის დასასრულს.

მით უარესი გერმანიისათვის, ასკვნის სტალინი და პირველათ მას ესხმის თავზე; იცის ალბათ, რომ, თუ გერმანია გამოვიდა მის წინამდევ, რამდენათ ადვილია საფრანგეთის, ინგლისის, ამერიკის გამოსვლა... თუ შინაურები ვერას მაკლებენ, ვინძლო გარეშენი მიეშველონ და მაშინ.. მაშინ—ფიქრობს მართლა უკუიდან გადამკდარი—მე ვიქცევი საერთაშორისო კონფლიქტების გმირად და პატივით დავეციეო.

ვა-ბანკ! მოვდივარ—დასუქეს სტალინი, ვითა ყარამან-ყათუნი, დევებს რომ სძლია.

ჩვენც კიდევ ვუცქერით ამ სერიოს, დარწმუნებულნი, რომ ჩქარა დაეშვება ფარდა და გაჰკრება ჩვენი დროის უბადრუკი გმირი, ვისი საშუალებით ისტორიამ ერთხელ კიდევ დასცინა ასე მწარეთ დიდი რუსეთის ბედს.

ერთმა ჩვენმა ახალმა ლტოლვილმა—მათი რიცხვი საშიშრათ მატულობს ამ უკანასკნელათ—გავაცინო ქართველ ერის სულისკვეთებას. ის სულგანაბულია — ამბობს ლტოლვილი — ერთდება მისცეს მტარვალს გამომწვევი საბაბი, ითმენს გმირულათ აუწერელ ტანჯვას, და სმენად ქცეული მოლოდინშია...

სწორეთ ისე, როგორც ჩვენ გვქონდა წარმოდგეული და აღბუქილი აქვე ამას წინათ! ტყუილა არ ჩაუვლია ამ ცხრა წლის ტყვეობას. ქართველმა ერმა ბევრი გამოიარა, ბევრი ისწავლა. არის მომენტი, როცა თავის შენახვა ფიზიკურ და სულიერ მოსპობისგან უფრო დიდი გმირობაა. ვინემ ხელჩართული ბრძოლა, მტრის მიერ ნაკარნახევი.

ქართველი ერი გადაუხდის მტერს 1921 წლის თებერვლის დამარცხებას. გლოვის წლისთავი შეიცვლება სიხარულის წლისთავით.

POST TENEBRA LUX \*)

(გეგსაჰქტივობი)

დიდი ტრაგედიის უკანასკნელი აქტი დაიწყო. რუსული ბალშევიზმის დღევანდელი პოლიტიკა საერთოდ, მისი ეკონომიურ-ინდუსტრიალური და განსაკუთრებით ახალი სასოფლო სამეურნეო პოლიტიკა, მისი საერთაშორისო მოქმედება გვაძლევს საკმაო საბუთებს ვიფიქროთ, რომ ეს უკანასკნელი აქტი არ იქნება ძლიერ გრძელი, ფარდა ადრე დაეშვება და ტრაგედიაც უნდა დამთავრდეს.

ამერიკას რომ «გაუსწრონ», ბოლშევიკებმა «დიდებულთ» გეგმა შეიმუშავეს. ხუთი წლის განმავლობაში უნდა მოახდინონ სასწაული და ინდუსტრია იმდენათ გაანვითარონ, რომ სოციალიზმის კარებს

მხოლოდ ცერის კერა დასუიოდება, რომ ფართოთ გაიღოს. ჯერ ჯერობით კი—აგერ უკვე ერთი წლის შემდეგ—ამ გეგმას არ ადგია კარგი დღე. მათივე მოწმობით ოცნება ოცნებათვე რჩება და მათი აშენებულნი ხოხოლა—ეკონომისტების ხარხარის აკომპანიმენტით—მათ თავზე ეხლება. ვერ უშველა მდგომარეობას ვერც «განუწყვეტელობამ» დაწარმოება არა თუ აიწია, ზოგან კიდევ დაეცა და ის, რაც დამუშავდა და დაგროვდა, გამოდგა თითქმის სრულიად მოუხმარი და ბრაკი. დაეცა აგრეთვე მუშების ენერგია და უდისციპლინობამ და სიმთვრალემ თავი იჩინა ყოველგან.

სასოფლო მეურნეობაში ხომ ბოლშევიკები ნამდვილ გადატრიალებას შეუდგენ.

\*) «წყვიდადის შემდეგ სინათლე».



რევოლიუციამ მიწა გლეხობას გადასცა. დიდის ვაი ვავლანისა და შრომის შემდეგ გლეხობა მოლონიერდა ცოტათი და ინდივიდუალური მეურნეობა მომაგრდა. მოხდა ეს მიუხედავთ აუტანელ გადასახადებისა, რომელიც საბჭოთა მთავრობამ გლეხს გააწერა. მარა სტალინის სახელმწიფოს, ან უკეთ რომ ვსთქვათ, მის პარტიას არ ეყო ის, რასაც გლეხი იხდიდა და ვალიუტის შესაძენათ მას დასპირდა ზედმეტი პურის დაგროვება. ხოლო ეს არც ისე ადვილი საქმე შეიქნა: გლეხობა შეებრძოლა პურის დამგროვებელ კომიტეტებს და მიუხედავთ ძალადობისა, მთავრობამ პური საკმაოთ ვერ შეიძინა. მაშინ ის პირდაპირ ომს უცხადებს იმ გლეხობას. რომელსაც რამე გააჩნია, მონათლა ის «კულაკათ» და ვითომც უძლურ და ღარიბი გლეხობის დასაცავათ— შეუდგა კოლმეურნეობის დაარსებას. ეს იმიტომ რომ ამ გზით მას თავისუფლათ შეუძლია აიღოს პურის ის ნაწილი, რომელიც დასპირდება და დანარჩენს წაუღებს იმათ, ვინც ამ პურს მოიყვანს და რომელიც ამ გვარათ სტალინის—ბატონის—მოჯამაგირებათ გადაიქცევიან. მოწინააღმდეგენი მან ყაჩაღურათ გაცარცვა, კონფისკაცია უყო მათ ინვენტარს და კოლმეურნეობას გადასცა. ეს ხდება ტერორის საშვალეობით და ყოველდღე სტალინის ემისარები ხვრეტენ 5-6 გლეხს და ტირანი არც მალავს, რომ მისი მიზანია «კულაკის» სრული მოსპობა, ფინიკურათაც კი. გაპარტახებულ გლეხობას მეტი არა დარჩა რა—თუ მას არ სურს სიმშობით სიკვდილი—კოლმეურნეობაში უნდა იპოვოს თავშესაფარი. რა თქმა უნდა ყოველგან ეს ადვილათ არ მოხდა. წინააღმდეგობას უწყევნ ვერ ავარ: გლეხები—წარმოიდგინეთ—ღარიბებიც კი აცხადებენ: რა ვვინდა კოლმეურნეობაში, იქ ბატონი გაგვიჩნდება მათრახით ხელში, ყველანი სიმშობით დავიხრცებით, ჩვენს ბავშვებს წვეთობით მისცემენ რძეს. თვით სოფლის საბჭოს წევრები არ შედიან კოლმეურნეობაში და წინააღმდეგ გამოდინ მისი. ჩვენი ქონება უნდა გადავსცეთ, სამაგიეროთ რას მივიღებთ? ყველაფერს შესუამენ. («პრავდა», 29 იანვარი). გლეხები არ ლაპარაკობენ მხოლოდ, ხშირად ისინი ტყვიებსაც ხმარობენ და სტალინის ზოგ ემისარს საიქიოს დაურჩა წასვლა.

რასაკვირველია გლეხის ფსიქოლოგია სრულიად ვერ ურიგდება ამ «რეფორმას», მარა ძალა აღმართს ხნავს. ამ ძალის საშვალეობით მთელ გლეხობას ბატონ-ყმობის ბორკილი შეაბა, სრულ მონად გახდა და შინ და გარეთ კი გაკვივის: სოციალიზმს ვაშენებო. მანაც კარგათ იცის, თუ რას აშენებს, მარა—სული მწარეა—მისი ბინდის შესანახავად, მას თურმე სხვა საშვალეობა არ გააჩნია. უკანასკნელ «კოზირებს» ხმარობს და ასეთ «პოლიტიკას» რომ მოყვებს სიმშობილობა და მილიონებით ხალხის გაწყვეტა, ეს მისთვის მეორე ხარისხიანი საკითხია, ოღონდ «აპარატმა» ისაზრდოვოს.

შინ თუ ასე არის საქმე, გარეთ ის სრულიად წამხდარია.

ერთად ერთი სახელმწიფო (ოსამალეთს არ ვანგარიშობთ), რომელიც ასე ვაქვით ვარშიყებოდა და

«მხარს უჭერდა» საჭოთა რუსეთს—რადგან ასეთი პოლიტიკა მისთვის «გამოსადეგი» იყო საერთაშორისო განწყობილებებში—იყო გერმანია. ამისთვის ეს უკანასკნელი ხშირად იტანდა და თითქმის არ ამჩნევდა იმას, რასაც საბჭოები სხადიოდენ თვით გერმანიაში. დღეს კი, როცა ვეროპის სახელმწიფოთა ურთიერთობის მოგვარებას კარგი თვალი უჩანს და ჰავის კონფერენციამ უთუოდ უნდა შექმნას ერთნაირი კეთილი განწყობილება საფრანგეთ-გერმანიას შორის, ისე, როგორც საზოგადოთ მთელ ვეროპაში—გერმანიას უკვე აღარ დასპირდება ისეთი «მეგობარი», როგორც არის მისი ბარბაროსულ მეზობელი. დაუმატეთ ამის ის გარემოება, რომ დღეს აშკარათ სჩანს საბჭოთა მთავრობის (ყველამ იცის დღეს, რომ კომინტერნი და მთავრობა ეს სტალინი და მისი ჯგუფია) ხელი გერმანიაში იმ მუდმივ «რევოლიუციურ» გამოსვლებში, რომელსაც ამ ბოლო დროს ხშირათ აქვს ადგილი. ამის გამო ჩვენ ვფიქრობთ, რომ გერმანიასაც მოზებრდება ისეთი «მეზობლობა», ბოლშევიზმა რომ იცის და მასთან «მეგობრობაზე» გერმანია ხელს აიღებს.

სხვაგან კი—როგორც ყოველთვის—რუსეთს სრულიად გატეხილი აქვს სახელი, როგორც ვეროპაში, ისე ამერიკაში. უკანასკნელათ მექსიკამაც დაულოცა გზა მოსკოვისაკენ ბოლშევიკების ელჩს. ვერავითარი მთავრობა ვერ აიტანდა იმ ლანძღვა-გინებას, რომელსაც რუსეთის საბჭოები იტანდა ლიტვინოვის პროცესზე პარიზში, ყალბ ჩერგონცების პროცესზე გერმანიაში; სადაც რუსეთის საბჭოებს აშკარად დაბრალდა ყალბი დოღარების ბეჭდვა და გავრცელება. ერთა ლიგაში ჩინეთმა და გერმანიამ მას დააბრალვე აგრეთვე ოპიუმის კოტრბანდული ვაჭრობა და ხალხის მოწამლვა. მას აღარაეინ ერიდება და მის საქციელს შესაფერ კვალიფიკაციას უკეთებენ. ამას დაუმატეთ ის გარემოება, რომ თუ ვენ. კუტეპოვის გატაცება ბოლშევიკებს დაუმტკიცდა, სურათი მთლიანი იქნება და მით დამტკიცდება ყველა ის, რაც მათმა ყოფილმა დიპლომატმა ბესედოვსკიმ გამოამოქალაქა.

დააკვირდით იმ გარემოებას, რომ თუ უწინ ბევრი რუსის (ზოგი ჩვენიც) ემიგრანტი ბოლშევიკების მხარეზე გადადიოდა და სახლში ბრუნდებოდა რუსეთის გასაბჭოების პირველ ხანებში, და ვეროპის კომუნისტური პარტია ამ დროსვე ათი და ასი ათასობით ითვლიდა თავის წევრებს,—დღეს, როცა ხთება ნგრევის პროცესი—და ამას ყველა კარგათ ხედავს, უკვე დაიწყა წინააღმდეგი მიმდინარეობა: რუსეთს და მის ბოლშევიზმს უკვე თვით მუშები და კომუნისტები—ხშირათ ცნობილი—გაუბრინა და უკვე არა თუ ვინმე სახლში აპირებს, არამედ რუსეთიდან და საქართველოდან ემიგრაციაში ესახლებიან. გაუბრის რუსეთს და მის ტირანიას გლეხობაც (გაიხსენეთ გერმანიის კოლონისტები). ვეროპის კომპარტიები (კარიელდებიან, იქ დაბუდებულ გარყენილებას ვერ იტანენ მუშები, სტალინის დესპოტიზმს ვეღარ უძლებენ და მას სტოვებენ როგორც გამოჩენილი კომ. მოღვაწენი, ისე მუშათა მასსა, სადაც ბოლშევიზმს სახელი გაუტყდა. საფრანგეთში, მაგალითისათვის



რომ ვსტევათ, კომ. პარტიას შერჩა 18 ათასი წევრი 150 ათასიდან!

როცა ჩვენ მივიღებთ მხედველობაში ზემოხსენებულ გარემოებას და ავსწონ დავსწონით რუსეთის დღევანდელ მდგომარეობას, ჩვენ საკმაოდ საბუთი გვაქვს დავასკვნათ, რომ ვართ მოწამე დასასრულის დასაწყისისა... არ იქნება აუცილებლათ შეცდომა, ვიფიქროთ—წინასწარმეტყველობას ვერავინ გასწევს—რომ რუსეთის ეკონომიკა, მისი თანამედროვე მეურნეობა ვეღარ შესძლებს კიდევ აიტანოს ის ექსპერიმენტი, რომელსაც სტალინი ახდენს დიდ სხეულზე, დაახდენს ისეთი საშვალეობებით, როგორსაც ის მუდამ ხმარობდა—ტერორით, ცეცხლით და მხველით. ეს გარემოება უკვე ევროპაში იწვევს სასტიკ პროტესტს, ისე როგორც სარწმუნოებასთან ბრძოლა ბარბაროსული საშვალეობით. დიას, წავიდა ის დრო, როცა ქვეყნიერება გულცივათ უტკეროდა ყველა იმ სასაძაღვს, რომელიც საბჭოთა მთელი «კავშირში» ხდებოდა.

და ჩვენ ვფიქრობთ, რომ როცა ჩაფლავდება მათი «პიატილეტკა» და მათი «სოფლის კოლექტივიზაცია»—და ეს უნდა მოხდეს—და ამას იქით წასვლა უკვე შეუძლებელი იქნება, მასთან ერთად ახლო მომავალში ჩაფლავდებიან თვით მათი ავტორნი. ეხლა გრძელის საზომით აღარ არის სათვლელი ბოლშევიზმის არსებობა. თუ ბოლშევიზმი, ეს ნამდვილი აპაშიზმი აუცილებელ მოვლენას წარმოადგენდა რუსეთის ისტორიაში—და რაც ხდება, ის აუცილებლათ უნდა მომხდარიყო—მან უკვე როგორც ეტყობა, მოჰყაბა თავის დრო, და თვით მის საშოში იბადება ის სხვა, ის ახალი, რაც მას უნდა მოყვას შემდეგში.

ქუმბარიტად ჩვენ ვდგევართ—რუსეთის ცხოვრებაში უუძლიერეს გადატეხის წინ და ამისთვის ყოველი ქართველის მოვალეობაა—ისე, როგორც რუსეთში მოქცეულ ყველა ერების—შეიგნოს ეს გა-

რემოება და მზათ შესვდეს მოვლენებს, რომელთაც ახლო მომავალში ექნებათ ადგილი. საქირთა ერთსულოვნობა, ყველა ძალების დაქიმვა, რომ იმ დროს, როცა დაკრავს უკანასკნელი ჯამი მტრის ბატონობის—არ გაიბნეს ერთგულნი ძალა და პარტიულ ან პირფუნულ ჩხირკედლობის გამო არ შებრუნდეს განხორციელება იმ მიზნის, რომელსაც ჩვენთან ერთად მთელი ქართველი ერი მოვლის. ეს მით უფრო აუცილებელია—და ეს არავინ არ უნდა დაივიწყოს—რომ დღეს რუსეთის ფარგალში მომწყვდეული ერები ალბათ შედარებით ადვილათ დაიბრუნებენ თავიანთ დამოუკიდებლობას, მარა შემდეგ მათ წინ გადაიშლება გზა ფრიად ძნელი; არ იქნება ის ია ვარდით მოფენილი, არამედ საშიში და სახიფათო. ამის გამო საქირთა იქნება ყველა ასლად განთავისუფლებული ერების ერთსულოვანი მოქმედება, ყველა მათი ძალების მოკრება და გაშლა, რომ მოპოებული თავისუფლება მათ კვლავ ხელიდან არ გაუსნლტეს. ჩვენ უკვე გამოცდილებით ვიცით ის, რასაც კლემანსო ამბობდა: «უფრო ადვილია თავისუფლების მოკაება, ვინემ ისეთი მდგომარეობის შექმნა, სადაც ამ თავისუფლებას შეეძლოს ისულდგმოულს». და რადგანაც ჩვენ ეს ვიცით, რადგან ჩვენ უკვე მიღებული გვაქვს მწარე გაკვეთილი, შეცდომები აღარ უჩდა გავიმეოროთ.

ვაი იმათ, ვისაც ყველა ეს არ აქვს შეგნებული, ვაი იმათ, ვინც ერთგულ გაერთიანებას ამ დროს ებრძვის, ვისაც არ სწამს ან საერთო ფრონტი. ან კიდევ არ სწამს ერის უნარი თავისუფლებისათვის ბრძოლისათვის, მის დამოუკიდებელ არსებობისათვის. ასეთ ელემენტებს—თუ კიდევ ისინი მოიპოვენ—მართებთ დიდი დავიქრება და სიფრთხილე, რომ შემდეგში არ დაურჩეთ მოსახანებლათ უკუღმართი გამოსვლები აქ თუ იქ...

ანტონ ქ.

**პანაიტი ისტრატი საბოლოოს წინააღმდეგ**

პანაიტი ისტრატი ამ 20 წლის წინ რუმინის პარტიის, ბრაილას, მუშა იყო, პროფესიით მღებავი. მისმა განსაკუთრებულმა ნიჭმა ის ამოატივტივა ჯერ რუმინის, ხოლო ამ ბოლო წლებში ევროპის მწერლობის ზედა პირზე. ამ იშვიათ ლიტერატურულ დაწინაურებას ოდნავადაც არ შეუტყვლია ბალკანელ მუშის ფსიქოლოგია და მსოფლმხედველობა. ის მუდამ თან ატარებს თავის ცოტა არ იყოს პრიმიტიულ «პროლეტარულ აჯანყებას» ექსპოლატაციისა და ჩაგვრის, ძალმომრეობისა და უსამართლობის წინააღმდეგ და შეუბრალებლათ სცემს თავის მურელ კალამს ყველა მათ, ვინც, მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, «ადამიანებს ჯერ ამშევენ და მერე ტყვიით უმსპინძლდებიან». კაპიტალისტური წესწყობილების დანგრევა, კლასის კლასზე გაბატონების და აქედან გამომდინარე უსამართლობის მოსპობა ისტრატის საუკველ მიზანს შეადგენდა და შეადგენს. მისი რომანები თუ პოლიტიკური ნაწერები მის მოძემ კლასის მისწრაფებას გამოხატავს. არა პოლიტიკურ

ბრძოლაში გაწვრთნილ დასავლეთ-ევროპიელ პროლეტარის დამუშავებულს და დასრულებულს სოციალურ იდეალს, არამედ აღმოსავლეთ ევროპის ჩამორჩენილ ქვეყნების მუშის რამოდენიმედ ინსტინქტურ ამბოხებას და ჯანყს ეკონომიურ დამონაგების და პოლიტიკურ ჩაგვრის წინააღმდეგ.

ოქტომბრის გადატრიალებას ისტრატი აღტაცებით მიესალმა როგორც მუშათა კლასის ბატონობის მოვლინებას დელამიწის ერთ მეექვსედზე. ჯერ ევროპაში ემსახურა კალმით, გულწრფელათ და თავდადებელათ, «მუშათა სახელმწიფოს». 1927 წელს ის მოსკოვმა «ოქტომბრის» 10 წლის თავის დღესასწაულზე მიიწვია. მკითხველს ეცოდინება ტფილისის განუთებიდან, თუ რა აფრთვანებული იყო ისტრატის პირველი შთაბეჭდილებები. თავის ევროპიელ მეგობრებს ეფიცებოდა მოსკოვ-ტფილისიდან—ნამდვილი პროლეტარული და სოციალისტური სამეფო შენდება საბჭოთა ქვეყნებში, ხოლო სტალინს



...ტქმას აღწევდა—მთელი ჩემი სიცოცხლე საბჭოე-  
ბის სამსახურისთვის მომიტანია, აქ უნდა დავბინავ-  
დე, ვისწავლო და ვიბრძოლო». რუმინელი მუშა-  
მწერალი საბჭოთა მოქალაქე გახდა.

დასრულდა ზეიმისა და დღესასწაულის ხანა. ის-  
ტრატი სწყურია ესლა «მშრომელთა სახელმწიფო-  
ში» გათქვეფა, მისი საფუძვლიანათ შესწავლა და მი-  
სგან პროლეტარიატის საქმისათვის ბრძოლის სწავ-  
ლა. და აი აქ იწყება მისი სულიერი დრამა, რომელიც  
მან მხატვრული სიძლიერით მოუთხრო ქვეყნიერე-  
ბას თავის ესლახან გამოსულ ფრანგულ წიგნში:  
«Vers l'autre flamme» (Rieder, Paris).

რაც დრო ვადის, რაც უფრო ახლო ხედავს საბ-  
ჭოთა სინამდვილეს, მით უფრო ხედაბა ისტრატიის  
თვალში რეჟიმის სიდუხჭირე და გათახსირება. მთე-  
ლი თვეების განმავლობაში მისი თავდავიწყებული  
ერთგულება წინასწარ შექმნილ ილიუზიისა ებრ-  
ძვის თვალით ნახულს და ყურით გავიწილს. მაგრამ  
თანდათან, ყოველდღიურათ საბჭოთა სინამდვილის  
უგუნურება და უდიერობა მის გულს წვეთ-წვეთობით  
საწამლადავთ ხედაბა, იქ მწარე ბოლმათ იგუბება. ეს  
გულწრფელი მემამბოხე-პროლეტარი პანრი ბარბიუ-  
სი როდია, რომ თავისი სინდისით უსამართლობის  
და ძალადობის მორევს შეათვისოს და აღმამფოთე-  
ბელ სინამდვილის გასამართლებელი თეორიები შე-  
ქმნას. მისი სასოწარკვეთილება გაცრუებულ ილიუ-  
ზიის, მისი აღმფოთება ისეთივე ძლიერია, როგო-  
რიც მისი გულუბრყვილო რწმენა იყო. და ამ სასო-  
წარკვეთილებას მთელი თავისი პრიმიტიული, ტლან-  
ქი სიძლიერით ესვრის ისტრატი მოსკოვს. ბალკა-  
ნელი მუშა-მწერალი ისევ თავის როლში ჩადგა—შე-  
უბრალებელ მამხილებელის და შეურიგებელ პრო-  
ტესტანტის როლში, იმ განსხვავებით, რომ ასეთი  
გაბორბლება მის კალამს კაპიტალიზმის თვისაც კი  
არ სჩვევია.

ყველა ილიუზიებიდან ისტრატი რატქმა უნდა,  
ვერ განათავისუფლებულა და ვერც ვერასოდეს დააღ-  
წევს მათ თავს ჯანყის მისტიკური მოტრფილელ ბა-  
ლკანელი მუშა-მწერალი. მაგალითად, ოქტომბერი  
ისევ წმინდათა-წმიდათ და დიად რევოლუციით მი-  
აჩნია. ლენინი და ტროცკი მის წინასწარმეტყველე-  
ბათ და სხვ. მაგრამ ამ მისტიკის გარეშე, ის ანცი-  
ფრებს საქმის ვითარების მცოდნე მკითხველს თავი-  
სი დახასიათების სისწორით. «... როგორ უნდა გავა-  
მართლოთ ისინი, ვინც მასების წიაღიდან გამოსუ-  
ლან, თავს მის ნაღებათ აცხადებენ, ვალიორკის სა-  
ჩვენებლათ მცირე ჯამაგირებს ინიშნავენ. ხოლო  
ფარულათ იტაცებენ, აღრჩობენ, ჰყუეტენ, ქურდო-  
ბენ, აუპატიურებენ, ჰკლავენ. ვანა ეს ამ რევოლუცი-  
ოის საბოლოო ზნეობრივი გაკოტრება არ არის?»  
ანდა: საბჭოთა რუსეთის ხელმძღვანელებმა «დაამ-  
კვიდრეს შეგნებულათ უსამართლობა თავის სამე-  
ფოში. მათ გასრწნეს ფართო სოციალური ფენები და  
სრულიად განსაკუთრებით გაკვირებულნი, რათა  
უმრავლესობა შექმნან და ძალაუფლება შეირჩინონ.  
მათ მიერ შემოღებული განსრწნა ყველა სხვაზე უმდა-  
ბლესია: თუ გინდა სჯამო თუნდაც ხანასვერდათ,

ან უნდა გათავადე «სახს» და ამის გარდა კიდევ უნ-  
და გახგე შენი ამხანაგი-ძმა, რომელიც არ ისრის  
ქედს (კურსივი ავტორისაა. დ. შ.). აი ამგვართ რუ-  
სეთმა მიადწია ისეთ საწარელ მდგომარეობას, რო-  
მელიც ჯერ ქვეყანაზე არ ნახულა: ერთი და იმავე  
კლასის ერთი ნახევარი აამხედრეს მისი მედრე ნა-  
ხევართს წინააღმდეგ, გახრწნეს ის ნახევარი, რომე-  
ლიც სჯამს და ჰყუეს, დემოკრატიზაცია უყუეს მე-  
რეს, რომელიც მანუღლადს და კბილგებს ვრწვს. კი-  
დედ მეტი, მოჰკლეს მომავალი, რადგან «კომსომო-  
ლის», ახალგაზდობის კადრები სავებით გათახსი-  
რებულია».

ძნელია ორი-სამი ამონაწერით გადმოცემა ის-  
ტრატიის გაცრუებულ გულის აღმფოთებისა. ამ აღ-  
მფოთებას და აგრეთვე დამამცირებელ ზიზლს ესვ-  
რის ის არა მარტო საბჭოთა იმპერიის მპყრობელთ,  
არამედ მის «კაზიონი» დამცველებსაც. ის არ ზოგავს  
არც გორკის, რომლის სიჩუმე მას სამარცხვინო და-  
ნაშაულათ მიაჩნია, არც ბ. ბარბიუსს, რომელმაც  
ბოლოშვიკების დაკვეთით მოუთხრო ვეროპიელებს:  
«აი რა უყვეს საქართველოს».

როგორც ვთქვით, ისტრატი საქართველოში რამ-  
დენჯერმე იყო და კარგა ხანიც დაჰყო იქ. უკანასკნე-  
ლი მოგზაურობის დროს (1928 წ. დამლევს) მას უკვე  
იქვის მატლი უღრღნის გულს; ჩვენი ქვეყნის სინამ-  
დვილეს საბოლოათ გაუფანტავს მასში ტკბილი  
ილიუზია.

«ტფილისის საბჭოთა კავშირის ულამაზესი ქალა-  
ქია და ამასთანავე ის ქალაქი, საცა ყველაზე მეტ  
დროს ახმარებენ «კუდებში» დგომას პურის მისადე-  
ბათ. ეს კუდები იწყება ღამის 3 საათზე. მათზე და  
კიდევ ბევრ სხვა რამეზე სიტყვას არ სძრავენ ფრანგი  
მწერლები (იგულისხმე ბარბიუსი. დ. შ.), «სახსს»  
ერთგული კომუნისტები. მეც ჩემის მხრით შემედლო  
დამწერა ერთი წიგნი, ორიც, მხოლოდ და მხოლოდ  
საქართველოს შესახებ, იმ მიზნით რომ შემევესო ის  
ვეებერთელა ნაკლი, რომელიც თვითონვე გვერღზე  
თვალში გვცემს ამ ძლიერ ბრძნულ, ძლიერ ბრიყ-  
ვულში, აბსოლიუტურათ ყალბ და სრულიად გაუგე-  
ბარ წიგნებში, რომლებიც ეკუთვნის ამა თუ იმ მწე-  
რალს, ერთხელ რომ ადამიანი ყოფილა და ერ-  
ჩინა ადამიანი დარჩენილიყო. საბრალო ქვეყნიერე-  
ბა (ფრანგულათ მონდ, ბარბიუსის ყურნალის სა-  
ხელწოდებაა. დ. შ.)... საბრალო ხელოვნება... საბრა-  
ლო სინიდისი... რა შესაბრალისინი, რა საზიზლარნი  
ხართ! ერთი პატარა ძვალი თქვენი მუცილისთვის და  
ერთი ნამცეცი პატრივი თქვენი გამშრალი გულისათ-  
ვის საკმარისია, რომ ბედნიერებით და ნეტარებით  
აღივსეთ. გახდეთ ბრმა, ყრუ და მუნჯი, გადაიქციეთ  
ქვემძრომათ და დაივიწყეთ ის ვეებერთელა ტანჯვა,  
რომელსაც ანთხევენ დედამიწაზე თქვენი დამმონავე-  
ბელი ტირანები. ტფილისო, საქართველოვ, ამიერ-  
კავკასიავ, მთელო საბჭოთა კავშირო: აქ და დღეს  
მე ვერ შევძლევ ვთქვა, რანი ხართ თქვენ. მაგრამ ამ  
წუთში ამოვანთხედ სიმბოლოს იმასაც, რაც თქვენ  
გიყვეს. და მხოლოდ ამკარათ შემეძლება ვთქვა, რომ  
ტყვილათ არ მიჰამია თქვენი პურ-მარლი».



ისტრატია საქართველოზე, და არი რას სწერს კიდევ.

ის ყოფილა ბორჯომში, ციხის ჯვარში, აბას-თუმანში და ჩვენი ქვეყნის ამ კუთხეების შევენება პოეტს ასე ალაპარაკებს: «არ გინდა დაიჯგრა, რომ ამდენი ბედნიერება არსებობდეს დედამიწაზე და კაცობრიობის ერთ უმცირეს ნაწილს ჰქონდეს მინიჭებულია». ყოფილა ის ახალციხის მაზრაში, დაუთვალე რებია ვირძიის ნაშთები და სხვ. მაგრამ ყველაზე უფრო საინტერესო მისი თელავში მგზავრობაა: «ჩვენ მივდივართ იქ ცნობილ წინანდალის ღვინის ქვეყნის სანახავათ, მაგრამ პირადათ მე სულ სხვა რამ მიმიზიდავს ამ მხარეში: თელავი არის ცენტრი ბიუროკრატიულ ტერორის, რომელიც მოდის 1923 (ალბათ 1924 წ. დ. შ.) წლის ეროვნულ აჯანყების შეუბრალებელ გასრესიდან, როცა მთელი პროვინციები აიკლეს, სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. აი ჩემი წინანდალის ღვინო. მე მიწოდდა წავსულიყავ იქ ჩემ მიერ არჩეულ გიდით. ეს შეუძლებელი დარჩა. ჩვენ ვიყავით ტფილისში. ჯერ მიგვიჩინეს ვილაქ ე. წ. «პროლეტარული მწერალი», აღუშურვილი კაი გვარიანი თანხით, რაც ჩვენ არ გვესაუირობოდა. მაგრამ წასვლის დამეს ეს «პროლეტარული» საზიზღრობა ზორბათ დაითრო, გვიან მოგვიკითხა, შუადღის მატარებელზე დაგვაგვიანა და ტრამვაიში განუწყვეტლივ არწყია სასტუმროსა და სადგურს შუა, იქით და აქეთ». ისტრატის მეორე დღეს ფ. მახარაძესთან და თოდრიასთან უჩივლია. ამათ ჩაუბარებიათ მგზავრები მახარაძის მდივნის, კომუნისტ მეტრეველისათვის. «გასაგებიაო, სწერს ისტრატია, რომ ამ პირობებში ჩემთვის შეუძლებელი იყო განძრევა. მიუხედავათ ამისა ადგილობრივმა ბერძენებმა, კახეთში რომ ვნახე, საკმარისათ დამისუ-

რათეს მდგომარეობა და ამის შემდეგ ჩემი გულისა-ბლოვით გაქვავდა იმ რეჟიმისათვის, რომელიც ქართველ გლეხს თავის კერიდან აძევებს და უბრძანებს წავიდეს საცა უნდა და მის სახლსა და ერთ ნაქერ ადგილში «ხაზის ერთგულ მგლებს» ასახლებს. ერთ სადამოს შევქელი უმხლებლოთ გამოვსულიყავ; წავედი და ვნახე ერთი იმ გაუბედურებულ ოჯახთაგანი, რომლებიც ღამეებს სადგურებში ათევენ: ასეთი უბედურების მნახველს სიკვდილი გენატრება.

აი რა უყვეს საქართველოს...  
საბრალო კაცუნა! (იგულისხმე ბარბიუსი. დ. შ.).

ასე აუჯანყდა პროლეტარი მწერალ «მუშათა სახელმწიფოს» და ასეთის ტკივილით და გაბოროტებით გაპკივის ქვეყნიერების წინაშე გულშემზარავ, სულიერი ტანჯვით მოპოებულ სიმართლეს. პანატი ისტრატომ ბოდიში მოხადა კაცობრიობას ყველა იმ სიყალბის, ფარისევლობის და სიმდაბლისათვის, რომელსაც ევროპაში მოსკოვის მიერ მოსყიდული მწერლები და არა მწერლები სჩადიან. მოსკოვს არა ერთი და ორი ევროპელი თაყვანისმცემელი გადაუდგა ამ ბოლო წლებში. მარა უმეტეს შემთხვევაში ეს ვაჟბატონები არჩევენ განზე ვადგომას, დუმბოს, რომ საზოგადოებას თავისი თავი დაავიწყონ და ნელნელა და მოხერხებით ასალ გზაზე გაიკეთონ კარიერა... საგულისხმიეროა. რომ ამ ყოფილ თაყვანისმცემელთა შორის პირველი გაბედული მამხილებელი «პროლეტარულ» დიქტატურის რეჟიმის ძალმომრეობისა და გაათახსირებისა არის პროლეტარიატის წიაღიდან გამოსული მწერალი.

დ. შარამიძე.

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ც ი ფ რ ე ბ ი თ

(ცდა ჩვენი ქვეყნის გრძელვად მკურნელობის მიმდინიებისა)  
(გაგრძელება)

12.

თუ საქართველოს ტერიტორიას 6.042.000 დესეტინათ ჩავთვლით (დუბენსკი), აქედან ვარგისი მიწებია 4.022.000 დეს. (აქ შედის ტყეები 2.168.000 დეს. და საძოვრები 935.000 დესეტ.) და აი ბალ-ვენახებზე უჭირავთ ვარგისი მიწების 0,9 პროცენტი. ტყეების და საძოვრების გამოკლებით, ის ფართობი, სადაც ვაზია გაშენებული დანაშთენ ვარგისი მიწების მხოლოდ 4 პროცენტს შეადგენს. ომამდე ვაზი გაშენებული იყო 57-62 ათას დესეტინაზედ, ამ ვამად-კი მას მხოლოდ 39.000 დესეტინა უკავია.

ვენახების ასეთ დაკლებას, თავისი ღრმა მიზეზები აქვს და ქართულ მევენახეობაში ასეთი მოვლენა სრულ-ახალი ამბავია.

ცნობილი ფაქტია, რომ საქართველოში ვაზი უხსოვარ ღროიდან არის გაჩენილი.

მოგონის გამოთქმისა არ იყოს, ეს მაშინ უნდა მომხდარიყო:

ნაღმ რომ ერთხელ ინება ყურძნის წვენის გემოვნება!

მთელს ამ ხანაში იყო პერიოდები, როდესაც ვაზს დიდი ფართობი ეჭირა ხლომზე; მოვიდოდა დრო და ეს ფართობი ერთობ მცირდებოდა. დღესაც პოლოზობენ, ხშირად ულაგო ალაგას საწახლებს, ქვევრებს, ვაზის ძირებს, იქ სადაც დღეს მევენახეობის ქუაანებაც-კი აღარ არის.

ყოფილა შემთხვევები, როცა ცარიელ ქვევრების გვერდით ღვინით სავსეც უპოვიათ, და არავის ხსომებია ან საიდან გაჩნდა იქ ქვევრი, ან ღვინო ვის ჩაესა...

უუკველია, რომ ვაზის დაავადებასთან ერთად სხვა მიზეზებიც იყო მევენახეობის შემცირებისა. ჩვენის ფიქრით უმთავრესი მიზეზი-კი ის უნდა ყოფილიყო, რომ იმ ადგილებში მოსახლეობა მცირდებოდა, — ან ომებში გაწყვეტილი, ან ტყვეებათ გადასახლებით და ან რამე სენის მოდებით. ამგვარ მოვლენათ დღესაც აქვთ ადგილი. არა მხოლოდ საქართველოში, არამედ ევროპის ქვეყნებშიც.

საფრანგეთში, მაგალითად, ვენახების ფართობი 1850 წელს უდრიდა 2.200.000 ჰექტარს. 1874 წელს

2.300.000 ჰექტარამდე ავიდა და აი აქედან იწყება თვალსაჩინო დაქვეითება. 1880 წლებში ვაზს ფილოქსერა გაუჩნდა. ამას დაერთო ეკონომიური კრიზისი, დიდძალი ვაზის ფართობი ან სულ მიტოვებული იყო და ან ახალის წესით გადაშენებული, ასე რომ 1927 წელს საფრანგეთის ვენახებს მხოლოდ 1.350.000 ჰექტარიღა შერჩათ.

ვაზის ყურძნის სხვადასხვა სნეულებამ, და ბუნების მანვე მოვლენებმა: ნაცარმა, ყინვამ, ფილოქსერამ, მილდიუმმა სხვ. ასე შესცვალეს მოსავალი, ჰქტოლოგებმა: 1850 წ. მოსავალი იყო 48 მილიონი, 1856 წ. 10 მილიონი; 1875 წელს ავიდა 83 მილიონამდე; აქ იჩინა თავი ფილოქსერის მანებლობამ და 1888 წელს მოსავალი ჩამოვიდა 23 მილიონამდე; მიღებული ზომებით 1900 წელს მოსავალი აღის 62 მილიონამდე; მალე ჩნდება ბლეკ-სიოტი, მილდიუ და სხვა მანვე სოკოები და მწერი—მოსავალი 1915 წელს დაეცა 20 მილიონამდე; კვლავ იწყება შეთანხმებული ბრძოლა—მეცნიერების, სახელმწიფო ორგანოების, ადგილობრივ ძალების; ვაზის მტერი მეტ წილად ძლეულია, გამორკვეულია ბრძოლის ახალი მეთოდები და მოსავალიც მატულობს. 1927 წ. იგი უკვე 50 მილიონ ჰექტოლიტრს უდრიდა.

ოქტომბრის დამლევს ტფილისში მოხდა თათბირი სასოფლო-მეურნეობის განვითარების პერსპექტივებზედ. სხვათა შორის იქ ასეთი ცნობები იყო გამოქვეყნებული (ხარ. ლლონტი): ამ ქამად ვენახებს უჭირავს 39.000 დესეტინა; ვენახების გასაშენებლად გამოსადეგ მიწების სივრცე-კი აღემატება 100.000 დესეტინას.

«სუფრის ღვინოების ღირებულება საქართველოში აღემატება 35 მილიონ მანეთს, წელიწადში, იუ აღვადგენთ ფილოქსერისაგან განადგურებულ ვენახებს, მაშინ შეიძლება მივიღოთ 60-70 მილიონი მჭეთის ღვინო. ამ მიზნით უნდა გვეყილოს 400 მევენახე უმალესი ცოდნით და 1200 საშუალო ცოდნით, 1500 მეღვინე და ქიმიკოსი».

სართალია, ამ ქამად საქართველოს ვენახების სივრცე თითქმის განახევრებულია. მაგრამ ეს ხომ დროებითი მოვლენაა. ქართველი ერთ მდგრად ებრძვის ვაზის მტერს—ფილოქსერას, რომელმაც ასეთი უზარმაზარი ზარალი მოუტანა ჩვენს ეროვნულს ეკონომიკას.

ფილოქსერასთან შებრძოლება ეს მეორედ უხდება ჩვენს ერს წარსული საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში პირვლად დასავლეთ საქართველოს მოედო ეს ვაზის ჭირი. ბევრი მაშინვე უწინასწარმეტყველებდა ჩვენს ქვეყანას, რომ იგი, რომელიც ვაზის სამშობლოთ ითვლება, დამარცხდება ბრძოლაში და მისი მევენახეობა აშუადამოდ იქმნება მოსპობილი. ქართველ ხალხს არ უნარი აქვს და არც საამისო კულტურა, რომ გაიარჯვოს მასზედ მოვლენილ უბედურებაზედა! მაგრამ დასავლეთ საქართველომ ყური არ ათხოვა ქართულ ვაზის მესაფლავეთ, სასო-წარკვეთილებას არ მიეცა. ბრძოლით მოიგო საქმე და ჩვენებური მევენახეობატრის გულისათ არ გახდა!

ჩვენის ხალხის საბედნიეოთ ამ საქმეს თავში

ჩაუდგა ცოდნით, ნიჭით და ენერგიით სავსე ადამიანი—აგრონომი სტაროსელსკი. ვაზის მტერთან ბრძოლა მან ნამდვილ მეცნიერულ ნიადაგზედ დააყენა; თვით ბრძოლას დიდი საზოგადოებრივი საქმის მნიშვნელობა და ორგანიზაცია მისცა. შემოიკრიბა გარშემო საუკეთესო ადგილობრივი სპეციალისტები და საზოგადოებრივი ძალები და ასე დარაზმული ვეუდგა თანამშრომლებთან ერთად ქართული ვაზის გადაჩენას. და გადაარჩინეს კიდევ! ბევრი ოფიციალური აგრონომიის წარმომადგენელი და საგანგებოთ მოწვეული ევროპიელი მრჩეველნი ჩასჩიჩინებდნენ ქართველებს,—რომ აუჩხატო ვაზები, დროს დაუკარგავად, და მის მაგიერ ზეთის ხილი ჩაეყარათ; მაგრამ, როგორც ვსთქვით, ხალხმა არ დაუჯერა მათ და გაცილებით უფრო მოკლე ვადაში, ვიდრე ეს საფრანგეთში მოახდინეს, სძლია გარედან შემოსეულ საშინელ ვაზის მტერს და მით საქართველოს მისი დიდი სიმიდარე შეუწარჩუნა.

ამ ბრძოლის და გამარჯვების დროს საოცრად გამართლდა ქართული ანდაზა: ზოგი ჭირი მარგებელიაო. სწორედ ამ უბედურობამ შეასწავლა ბევრი რამ ახალი და კარგი ჩვენს სოფლის მეურნეს: ვაზის გასაშენებლად ნიადაგის ახალის მეთოდებით დამზადება (პლანტაჟი), ამერიკული ვაზის ძირებზედ ჩვენებურ საუკეთესო ჯიშის ვაზების მყნობა, გასწვლის ახალი ხერხი, ვაზის წამლობა, საჭირო წამლები სახლშივე შეზავება, სათანადო აპარატების მომზადება. ყველაზედ დიდი მიღწევა კი ის იყო, რომ ქართველმა სოფლის მეურნემ საბოლოოდ შეიგნო, რა დიდი კავშირი ჰქონია მეცნიერებას სასოფლო მეურნეობასთან. ამის შეგნება სწორედ დიდი მიღწევაა და ამიერიდან სულ მცირე შრომაა საჭირო, რათა მეცნიერების მოხმარება სასოფლო მეურნეობის სხვა დარგებშიც მოხდეს.

სწორედ ასეთივე შედეგი მოჰყვა ფილოქსერასთან ბრძოლას საფრანგეთის სასოფლო მეურნეობაშიც.

ფილოქსერამ საფრანგეთში 1.500.000 ჰექტარი ვენახი გაანადგურა. მათი აღდგენა საფრანგეთს 3 მილიარდი ფრანკი დაუჯდა. ჩვენში თითო დესეტინის აღდგენა, დაახლოებით, 1500 მანეთი ჯდებაოდა. თუ ვიანგარიშებთ, რომ სულ ცოტა 40.000 დესეტინაა აღსადგენი ვენახი, საქართველოს ფილოქსერისაგან აღსადგურებულ ვაზის აღდგენა დაუჯდება 60 მილიონმანეთი, ან 150.000.000 ფრანკი (ომის წინა კურსით). საფრანგეთში ერთი ჰექტარი დაჯდა 2.000 ფრანკი, საქართველოში კი 4.000 ფრანკი.

როდესაც უცხო ქვეყნის მევენახეობის უზირატესობაზედ ვლაპარაკობთ—იგივე უნდა გავიმეოროთ, რაც მინდვრების დამუშავების შესახებ ითქვა.

საფრანგეთისა, თუ გერმანიის მევენახე არც აქ არის თავის საკუთარ ძალებზედ მინებულნი. აქაც იგივე ორგანიზაცია და დახმარებაა, რომელშიც ჩამშულნი არიან: სახელმწიფო, კომუნალური და კოოპერატიული დაწესებულებანი, ადგილობრივად დაბინავებულნი მცოდნე—სპეციალისტები—ინსტრუქტორები, ლაბორატორიები და აგრონომიულ პრეფესორების კათედრები. დადგება თუ არა სათანადო

სეზონი, როდესაც ვენახის დაბარვა უნდა მოხდეს, პატივის შეტანა, ვაზის გასხვლა და შესვევა: ვაზის მოწამვლა, ყურძნის მოკრეფვა, დაწურვა. ქვევრებში (ხის კასრებში უმეტესად, არგენტინაში-კი ჩვენებურს ქვევრებშიც) გადაღება და ბოთლებში გადასხმა—ყოველ დროს, მორიგ სამუშაოს რამოდენიმე კვირის ან დღის წინ, დაივლის სოფლებს ადგილობრივი სპეციალისტი და მოკლედ და მკაფიოდ უხსნის მევენახეთ, როგორ და რა უნდა აკეთონ, რჩევას იძლევა იმ წლის ამინდის მიხედვით, ან შარშანდელის გამოცდილებით, როგორ უნდა შესცვალონ წინა წლის პრაქტიკა, აწვდის მეცნიერულ აგრეთვე უკუაღნიშნული აგრონომების მიერ მიწოდებული რჩევა-დარიგება, წამოღების რეცეპტები, სადა რა იზოვება და სხვ...

თუ გლახი რაიმე მიზეზით ვერ ახერხებს აგრონომის ნახვას, მაშინ იგი მიმართავს ადგილობრივ გავრცელებულ ფურცლებს, სადაც თავ-თავის დროზე უკვე აღნიშნულია აგრონომების მიერ მიწოდებული რჩევა-დარიგება, წამოღების რეცეპტები, სადა რა იზოვება და სხვ...

თუ გლახმა თვითონ არ იცის კითხვა (რაც საფრანგეთშიც კი ხდება ხოლმე!), თავის შვილს წაკითხვებს და ისე გაიგებს, როგორ უნდა მოიქცეს და როგორ უნდა შეუფარდოს თავისი საკუთარი ცოდნა-გამოცდილება ახალ მეცნიერულ მეთოდებს...

თვით აგრონომმა კი ისიც იცის, რომ ხშირად ცარიელის რჩევით ფონს ვერ გავა, იცის რომ გლახკაც იცის «სპეცია» თავის ხელობაში, ამიტომ მას, აგრონომსაც, უხდება დაუკვირდეს გლახის გამოცდილებას და ხერხს, რომ უკეთ მოახდინოს მეცნიერული აგრონომიის მოთხოვნილებათა შეთვისება და გაგრძელება...

საქართველოს სასოფლო-მეურნეობა მოკლებული იყო ასეთ ზრუნვას. რუსის მთავრობამ ისეთი დედინაცვლობა გამოიჩინა საქართველოს მიმართ, რომ რომ 117 წლის განმავლობაში ერთი მეღვინეობის სასწავლებელიც-კი ვერ გაიმეტა ჩვენთვის. ამავ დროს ამისთანა სასწავლებელი ყირიმში გახსნა, სადაც ვენახებს მხოლოდ ექვსი ათასი დესეტინა ეჭირა. რასაკვირველია ეს არ მოხვლია ადგილობრივი მოსახლეობის პატივისცემით. ყირიმში იმითომ გაიხსნა ის, მართლაც და, საუცხოვო სასწავლებელი, რომ იქ რუსების გადმოსახლება დიდის მასშტაბით ხდებოდა.

დ. აფხაზის ცნობით 1913 წელს საქართველოს მევენახეობაში ასეთი მოსავალი ყოფილა:

- ყურძენი: 11.800.000 ფუთი.
- ღვინო: 10.000.000 ვედრო, ან 1.230.000 ჰექტოლ.
- ამას გარდა შინ სახმარად და ნაწილობრივ გასატანათაც მწადდებოდა ჩვენში:
- სპირტი 9.100.000 გრადუსი.
- კონიაკი 820.000 გრადუსი.

საერთოდ კი ღვინის და სპირტის ღირებულება უდრიდა 19.100.000 მან. (ოქროს). აქედან საზღვარ გარეთ გადიოდა 2.400.000 მანეთის (ოქროს) (დ. აფხაზი. გვ. 77 და 86).

რაც საქართველოში ღვინო მოდიოდა, 85 პროც. ადგილობრივად იყიდებოდა ან შინ იხარჯებოდა და მხოლოდ 15 პროცენტს გადიოდა საზღვრების გარეთ. მთელი ჯამი გარეთ გატანილი ღვინისა უდრიდა, დაახლოებით, 148.000 ჰექტოლიტრს (1.200.000 ვედრომდე).

სხვადასხვა სახელმწიფოებში ღვინის მოსავალი ასეთი იყო (ნ. სომერის წიგნიდან):

ქვეყანა.	თითო ჰექტარზე (0,9 დესეტისა) მოდიოდა: ჰექტოლ. (8 ვედ. და 0,135)
საქართველო	10.
საფრანგეთი	16.
გერმანია	25.
შვეიცარია	34.

შალვა ელიაშვილს რომ დაეჯეროს (მისი მოხსენება საბჭოთა მესამე ყრილობაზე, 1925 წელს), მანამ კახეთიც დაზიანდებოდა ფილექსერიით—ღვინის მოსავალი ჩვენში, საშუალოდ, 80 ვედრო იყო თითო დესეტინაზე და 1924 წელს კი ეს გამოსავალი 170 ვედრომდე ავიდა. ესე იგი 20 ჰექტოლიტრზედ მეტი გამოდის რომ ჩვენი ღვინის გამოსავალი უფრო მეტი გამხდარა ვიდრე საფრანგეთის და ჩვენ უფრო გერმანიის გამოსავალს ვუახლოვდებით. ეს ცნობები გადამეტებულად მიგვაჩნია; საუბედუროდ ამის ნიშნებს ვერსად ვხედავთ დღევანდელ საქართველოს სინამდვილეში...

თავისთავად ცხადია, რომ როცა რაციონალური მევენახეობა და მეღვინეობა დამყარდება ჩვენშიც—ჩვენი ღვინის გამოსავალიც იმატებს და წინ არა უდგია რა, რომ სხვა ქვეყნების მოსავალს გაუსწორდეს. ღვინის ზედმეტი გამოსავალი ჩვენში მეტწილად გაზრდის იმ ნაწილს, რომელიც საზღვარ გარეთ გადის ყოველ წლივ, ასე რომ უფრო სექსპორტო ნაწილი იმატებს, რასაც ჩვენი ქვეყნის ეკონომიკისათვის დიდი მნიშვნელობა ექმნება.

დასავლეთ ევროპაში ამ უამად დიდი მუშაობა ხდება, რომ ვაზს რაც შეიძლება მეტი მოსავალი გამოაღებინონ. ამას აღწევენ: ყურძნის მოსავალს მატებით, კარგი ღვინის დაყენებით და ჭაჭის უკეთესად გამოყენებით. ამ ბოლო დროს ყველაზედ დიდი მიღწევა იტალიის მევენახეობას დაეტყო. ღვინის გამოსავალი თითო ჰექტარზედ არამც თუ გაუსწორდა საფრანგეთის საუკეთესო ვენახებს, არაუღ კარგი ღვინის დაყენებითაც დაეწია მას, შემოიღო მუშხუნა ღვინეობის მიღება და გარდა ამისა შაპანიური მეღვინეობის წესების შეთვისება. რაც მევენახეობა ჭაჭის უკეთესად გამოყენებას, ამაში თვით საფრანგეთსაც გაუსწორა მან.

იტალიაში ჭაჭიდან და ყურძნის თესლიდან დებულობენ: ალკოოლს (ეს ნაწილობრივ ჩვენშიც ხდება), ტარტრსა და ზეთს (საპის დაქიმიურ ინდუსტრიაში სახმარებლად) და ჭაჭა ჭაჭას (საუცხოვო საქონლის საკვებია).

საფრანგეთისათვის გამოანგარიშებულია, რომ თუ იქაც იტალიურ მეთოდებს შემოიღებენ, ჭაჭის გამოყენებით 300 მილიონ ფრანკს მიიღებდენ ზედმეტ შემოსავალს.

ჩვენში კი ჭაჭა მეტწილად უსარგებლოთ იკარგება!





მოვიყვანო, ბოლოს, 1914 წლის ცხრილს, რომელიც გვიჩვენებს როგორი იყო მევენახეობა-მეღვინეობა საქართველოს მაზრებში. მაზრები ჩამოთვლილია ვენახების საერთო სივრცის სიდიდის მიხედვით (ნაოროდნ. სოხ. ზაკავკახ. გვ. 161):

მაზრები.	სივრცე ვენახ.	ყურძნის მოს.	ღვინის გამ.
ათას დესეტინ. ათას ფუთობ. ათას ვედრ.			
შორაპნის	7.0	2344.0	2000.0
თელავის	6.6	1548.0	1284.5
სიღნაღის	6.1	858.0	694.5
ქუთაისის	4.1	1778.7	1499.1
ოზურგეთის	4.1	372.4	246.8
გორის	3.3	219.7	147.2
აჭარა	3.1	406.2	248.7
ტფილისის	2.4	1036.4	1018.1
ბორჩალოს	1.5	294.5	261.8
ლეჩხუმი	1.6	502.4	426.3
აფხაზეთი	1.4	48.1	7.3
რაჭის	1.3	92.0	80.0
დუშეთის	1.0	117.6	95.8
თიონეთის	0.3	69.0	65.0
სენაკის	0.2	38.0	40.7
ზუგდიდის	0.1	21.2	13.6

თუ ვენახების სივრცე მაზრებში ერთგვარ მუდმივობას წარმოადგენს, სამაგიეროთ მოსავალი (წლითი-წლიობით) ცვალებადია, რაც ადგილობრივ პირობებზეა დამოკიდებული.

(გაგრძელება იქნება) —ლი-გ.

### იტალიელების სამიმიარე

#### ჩვენი გლოვისა გამო

ჩვენ შემთხვევა გვქონდა აღგვეჩინა თავის დროზე ის დიდი თანაგრძობა, რომელსაც იჩენს საქართველოს საკითხისადმი რომის ყველაზე გაგრძელებული გაზეთი «ილ მესაჯერო». ჩვენი დამოუკიდებლობის წლის თავზე შარშან ამ გაზეთში მოთავსებული იყო პოლიტიკურ-ისტორიული შინაარსის ვრცელი წერილი, რომლის შემოკლებულ თარგმანს მკითხველი გაეცნო «დამ. საქ.» იენისის ნომერში. არც ჩვენი გლოვის დღე მისცა დავიწყებას «ილ მესაჯერო»-მ: 11 თებერვალს მან დასტამბა მხურვალე წერილი ამ სათაურით — «დასისხლულ დროებების ქვეშ—გრი რემპლიგ იბრძვის და იმედღვრებს». საქიროდ მიგვაჩინა ამ გრძობით აღსავე წერილზე ქართველი საზოგადოების ყურადღება შევაჩეროთ.

ცხრა წელიწადმა განვლო—ასე იწყებს იტალიური გაზეთი—იმ დღიდან, როდესაც კომუნისტური რუსეთი დაეუფლა საქართველოს, შემუსრა საერთაშორისოდ ცნობილი მისი დამოუკიდებლობა! ცხრა წელმა განვლო 1921 წლის 11 თებერვლიდან, იმ დღიდან, როცა მძიმე ლოდი სამარეთ დაეხურა იმ ერის დამოუკიდებლობას, რომელმაც თავისუფალი არსებობის უგრძელეს მანძილზე ყველასათვის აშკარა დასანახავად ჰქმნა თავისი ურავო ინტელექტუალური უპირატესობა, უნარი არსებობისა, კულტურულ-ეკონომიური შესაძლებლობანი...

«უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთის კომუნისტურმა რესპუბლიკამ ცხრა თვით ადრე, ვიდრე ის თავს დაესხმოდა საქართველოს, სახელდობრ 7 მაისს 1920 წელს დადებული ხელშეკრულებით, აღიარა საქართველოს თვითმყოფობა და ამავე დროს უარი განაცხადა ამ ქვეყნის უფლებათა და ტერიტორიის მიმართ ყოველივე პრეტენზიაზე. ქართველი ერის დამოუკიდებლობის მოსპობა ბოლშევიკებს უფრო ადრე ჰქონდათ განზრახული, როგორც ის გამოამჟღავნა საბჭოთა ექსდიპლომატმა ბესედოვსკიმ; მხოლოდ ერთადერთი ლენინი ეწინააღმდეგებოდა დღეს ექსორიაში მყოფ ტროცკის იმპერიალისტურ სულისკვეთებას, რადგანაც ლენინის ჰანრით საქართველოს დაპყრობა ურიგო შთაბეჭდილებას მოახდენდა ევროპაზე. მაგრამ, როდესაც ჩიჩერინმა ცენტრალი კომიტეტი დაარწმუნა, რომ ლლოიდ ჯორჯი სრულებით არ არის დაინტერესებული ამიერკავკასიის სახელმწიფოთა არსებობაში და არც სხვა სახელმწიფოთა—მათ შორის იტალიაც—რთულ მიზნებათა გამო არ მოისურვებდნენ რუსეთის წინააღმდეგ გამოსვლას, მაშინ გადასწყდა საქართველოს ბედი. ომმა ერთს თვეს გასტანა. საუბედუროთ ამიერკავკასიის სახელმწიფოთა (საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი) შეთანხმებულათ ვერ მოქმედებდნენ, ამიტომაც მართოდ დარჩენილმა ქართველმა ჯარის ნაწილებმა იმ მოსაზრებით, რომ ტფილისი არტილერიის ცეცხლისაგან გადაერჩინათ, დასავლეთისაკენ დაიხიეს. საქართველოს სატახტო ქალაქი დაეცა, მაგრამ რესპუბლიკის სხვა ნაწილებში, განსაკუთრებით მთაში, სისხლიანი ბრძოლა მრავალი თვის განმავლობაში შეუწყვეტილად სწარმოებდა. განმეორდა ის, რასაც ადგილი ჰქონდა ერთი საუკუნის წინათაც, როცა იმავე მტერმა—იმ დროს სხვა სახიანამა—შეაჩერა ერის თავისუფლება.

ბოლშევიკების შესევამ შესწყვიტა იტალიისა და საქართველოს შორის მიმართება, რაიცა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის უმაღლეს დაიწყო და შეუჩერებლივ სწარმოებდა უმეტესად ეკონომიურს ნიადაგზე და რისთვისაც ბევრი მუყაითობა გამოიჩინა იმ დროს ტფილისში მყოფ იტალიურმა მისიამ.

საქართველოს ეროვნული მთავრობა ბოლშევიკების მიერ მისი სახელმწიფოს დაპყრობის შემდგომ უცხოეთში გადმოვიდა, გარნა მას თავისი პრეროგატივები არავისათვის გადაუცია. იგი ეხლოა შემოხსილია მთელი უფლებებით, რაიცა მას კონსტიტუციის ძალით დამფუძნებელი კრებისაგან ჰქონდა მიანიჭებული.

ხოლო ხალხი, მიუხედავათ იმისა, რომ ქვეყანაში მძვინვარებს სისხლის მსმელი ჩეკა და კომუნისტური ძალაუფლების გაუნელებელი ტერორი, მიუხედავათ საერთო დაკნინებისა და წარმოუდგენელი სიღატაკისა (ახალი «ბატონების» უღლით «შეძენილისა»), მაინც იბრძვის დამოუკიდებლობისათვის. უღელი გამოიცვალა: წინათ თეთრი იყო, ეხლა წითლად გადაღებოდა, ორივე შემთხვევაში მიუღებელი ქართული ეროვნული თავმოყვარეობისათვის.

ცნობილია იტალიაშიაც 1924 წლის საქართვე-

ლს აჯანყება. გმირული მოქმედებანი მთელს ამბოხებულ მხარეში მიმოფანტულ პარტიზანებისა, რომელნიც საშინელ ჩეკასა და იარაღაწყვილ რუსის ჯარს პირისპირ ებრძოდნენ უცხო რეჟიმის თავიდან მოსაშორებლათ».

გაზეთი შემდეგ აღნიშნავს, რომ თავისი სახელმწიფოებრივი არსებობის ორიათასი წლის მანძილზე საქართველოს უამრავი ზიფათი განუტეია, თავდაპირველად თვისი გეოგრაფიული მდებარეობისა გამო. ამავე მიზეზს ასახელებს ავტორი, როდესაც ეგება რუსეთის მიერ 1783 წლის ტრაქტატის დარღვევას: რუსეთი ლაშობდა საქართველო გამფყენებია, როგორც ზიფათის სვლაში წინააზიასა და ხმელთაშუაზღვისაკენ.

ჩვენთვის გრძობებით აღსავსე წერილს «მესაჯვრო» ასეთ სიტყვებით ამთავრებს:

«და ასე ნიადგ ყოველ წელს განუშორებლივ სდგას ქართველობის გონების წინაშე ორი თარიღი: საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა რუსეთის სამეფოს დანგრევის შემდგომ და ბოლშევიკების შეჭრა მათს ქვეყანაში. განთავისუფლების წმინდა მცნების დარაჯნი აღთქმამიცემულ არიან თავის კანონიერ მთავრობის ერთადეგებაში; ამ მთავრობაში ისინი სამართლიანად ჰხედულებს სიმბოლოს დამოუკიდებლობისას. ესლა რომ განადგურებული არის მტრის მხეცური შემოსევით. ეს მთავრობა ამ უამად ყოველი ქართველისათვის ის გაჩირადენებული ლამპარია, რომელიც ასხივონებს მის მწუხარე სვლას და რომელიც მას უახლოებს ამ გზის სიღრმიდან გამომჟვრეტ ერთგულ თავისუფლების წარმტაც სიმშვენიერეს.

და ყოველ წლივ ამ დღის თავზე მთელს სამყაროში მიმოფანტულნი ქართველნი ლტოლვილნი ჟმუნვით იგონებენ, რომ არსებულს პოლიტიკურ პირობებში ევროპას ძალუქს მხოლოდ სიმპატიის გამოხატვა საქართველოსადმი, მას შეუძლიან მხოლოდ ისურვოს, რომ შეუწყვეტლად წარმოებული ბრძოლა თავისუფლებისათვის კეთილად დამთავრდეს, —უწყიან ეს ქართველებმა, გარნა მინც არ იეიწყებენ, რომ საქართველო არსებობს და ცოცხლობს.

ასეთ სიმპატიას იჩენს განსაკუთრებულად იტალია, ერთადერთი დიდ სახელმწიფოთა შორის, რომელმაც შეიგნო საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიურ შესაძლებლობათა მთელი მნიშვნელობა, დაღათუ ევროპის ომის შემდგომ დალაგებაში საქართველოსაც თავის შესაფერისი ადგილი შეპრჩენოდა... იტალიელებს ესმით, რომ საქართველო იბრძვის და იმედოვნებს.»

**ჩვენის გულახდილობა \*)**

ჩენი გაზეთის გასული წლის 21 დეკემბრის ნომერში დაბეუდილმა სტატიათ «რუსის ემიგრაცია და პოლონეთი» ბ. კერენსკის «დნი»-ს (№ 70) ცხარე პასუხი გამოიწვია. იქ დაიბეუდა წერილი «პილსუდფი-

კების გულახდილობა», რასაც პასუხის გაუცემლად ვერ დავტოვებთ.

უპირველესად კერენსკი მოიგონებს, რომ პირადათ ყოველთვის პოლონეთის დამოუკიდებლობის მომხრე იყო და მიგვითითებს დროებითი მთავრობის მანიფესტზე, რომელიც ეგება ამ საკითხს.

არავის უარუყვია კერენსკის სიმპატიები ძველი რეჟიმის დროს პოლონეთისადმი და არც დროებითი მთავრობის მანიფესტის არსებობა. ხოლო საეყვია უკანასკნელის მნიშვნელობა. ეს მანიფესტი გამოცემული იყო 1916 წ. ნოემბრის 5 აქტის შემდეგ. ე. ი. იმის შემდეგ, რაც ცენტრალურმა სახელმწიფოებმა იცნეს პოლონეთის საკითხი როგორც საერთაშორისო და დაადგინეს პოლონეთის დამოუკიდებლობის უფლება. მანიფესტის გამოცხადების დროს რუსეთს აღარ ეკავა ერთი მტკაველი პოლონეთის მიწისა. ამიტომ მანიფესტს არ შეეძლო ჰქონოდა რაიმე პრაქტიკული ღირებულება და ის იურიდიულად ადასტურებდა მხოლოდ უკვე დაკარგული ტერიტორიის დათმობას. ამასთანავე დროებითი მთავრობა მანიფესტში ლაპარაკობდა «სამხედრო უნიაზე», რაც ზღუდავდა პოლონეთის მომავალი სახელმწიფოს სუვერენულ უფლებებს და მანიფესტს უკარგავდა მორალურ ფასს პოლონელ საზოგადოებაში.

რაც შეეგება არსებითად ჩვენს დავას, უნდა აღვნიშნოთ შემდეგი: რუსის ემიგრაცია გვიწყრება იმისთვის, რომ უმჯობესად მიგვანჩია მართველობა დარჩეს ბოლშევიკებს, ვიდრე გადავიდეს რუსის ემიგრაციის რომელიმე ჯგუფის ხელში. წინანდელ წერილში გულახდილად დავასახელებთ მიზეზები, თუ რატომ ვფიქრობთ ასე.

ბოლშევიკებმა ხელშეკრულობა დასდვენ ლიტვასა, ლატვიასა, ესტონეთსა და ფინლანდიასთან, ემიგრაციას კი დასჭირდა ათი წლის ფიქრი, რომ ეცნო ამ ერების დამოუკიდებელი არსებობის უფლება.

ბოლშევიკებმა შეკრეს ჩვენთან რიგის ხელშეკრულობა, რომლის ძალით გვიბრუნებენ იმპერატორების დროს წართმეულ ისტორიულ და მხატვრულ განძეულობას. რუსის ემიგრაცია ამის გამო უსაყვედურებს ბოლშევიკებს—რუსის ხალხის ქონება განიავეს. ბოლშევიკები ცნობენ ჩვენს აღმოსავლეთის საზღვრებს, მაშინ როდესაც ემიგრაცია ამის წინამდგია. და თუ ემიგრაცია, როცა ხელისუფლებას დაეპატრონება, მოითხოვს რიგის ტრაქტატის გადასინჯვას და ტერიტორიაზე შემოგვედავება, მაშინ რისთვის უნდა მოვიწოდოთ ბოლშევიკური მთავრობის ალაგას ემიგრაციის დამკვიდრება.

ვილნო ჩვენთვის ისეთივე პოლონური ქალაქია, როგორც ვარშავა, კრაკოვი და სხ.—კერენსკი კი გაიძახის: ვილნო რუსის ქალაქია. ჩვენთვის «ადმოსავლეთის მალაპოლსკა» პოლონეთის ერთი პროვინციათაგანია. რუსის ემიგრაცია კი ამბობს—იგი ჟემმარიტი რუსული მიწა არისო. რატომ უნდა ვისურვოთ, რომ ეს დღეს თეორიული ხასიათის საკითხები გადაიქცენ არსებითი თვისების საგნებად, თუ ემიგრაცია რუსეთს სათავეში მოექცა.

რუსის ემიგრაცია ღრმადაა გამსუვალული ძვე-

\*) წერილი პოლონეთის მთავრობის ოფიციალურ გაზეთის «გაზეტა პოლსკა»-სი (30. იან. 19).



ლი სამეფო რუსეთის იმპერიალისტური ტრადიციებით. ბ. მილიუკოვს დღესაც ესინძრება დარდაწელი, რომელსაც ეცნობოდნენ იმპერატორები. კერენსკი ისევე უარყოფს უკრაინის საკითხს, როგორც უარყოფს მარკოვ მეორე. პოლენელი საზოგადოება ხედავს, რომ გარდმხვეწის წლებმა ვერ ასწავლა რუსის ემიგრაციას, რომ შეუძლებელია სახელმწიფოს აშენება სხვა ერების დამონებაზე. კერენსკი ფრიად ცთება, თავის საზომით რომ გვიდგება პოლენელებს:

«რუსეთის დაუძღურება სტალინის ქუსლ ქვეშ, სწერს იგი: პოლენელებს უნდათ უკრაინის ხელში ჩასაგდებად.» შეგვიძლია დავარწმუნოთ კერენსკი, პოლენეთში ერთი არავინ ფიქრობს უკრაინის დაპყრობას. კერენსკი ამბობს კიდევ: «მიზანი იმისა, რომ პილსუდსკის პოლენეთი მხარს უჭერს ბოლშევიკებს, არის უკანასკნელი შემუსვრელი მახვილის ჩაცემა რუსეთისთვის უკრაინასა, კავკასიასა და თურქისტანში... ჩვენ მოვითხოვთ, რომ პოლენეთმა პატიოსნად შეასრულოს მიღებული ვალდებულება და არ მისცეს ბინა თავის ტერიტორიაზე ისეთ ორგანიზაციას, რომელიც ემუქრება ს. ს. რ. კავშირის დღევანდელი საზღვრების მთლიანობას».

ამის გამო უნდა განვაცხადოთ: რაღა აქვს სადავო ბ. კერენსკის საბჭოთა მთავრობასთან. მათი ორივეს შეხედულება ხომ ერთნაირია. საბჭოთა პრესაც იმას აბრალებს პოლენეთს, რომ ხელს უწყობს ნაციონალისტებს და კონტრევოლუციონერებს კავკასიასა და თურქესტანში. საბჭოთა მთავრობა არაა, რომ მუდამ პროტესტს უცხადებს პოლენეთს უკრაინელ. კავკასიელ და თათრის ემიგრანტთა ორგანიზაციების შესახებ. რომლებიც პოლენეთში არსებობენ? ვარშავაში გამართულ ქართველთა კრების გამო არ იყო, რომ დაარბიეს პოლენეთის საკანსულო ტფილისში და პეტლიურას ხსოვნისთვის მოწყობილ საღამოს გამო არ იყო, რომ ანტიპოლენური დემონსტრაციები გამართეს კიევსა და ხარკოვში? ჭეშმარიტად აქ არავითარი გაუგებრობა არ არსებობს კერენსკისა და სტალინის შორის—ორივეს მთლიანი და განუყოფელი რუსეთი უნდა.

მაგრამ არსებობს დიდი განსხვავება ერთის მხრით ჩვენსა და მეორეს მხრით სტალინ-კერენსკის შორის.

სრულიად გასაგებია, რომ პოლენეთი თანაგრძნობით ეპყრობა დამონებული ერების განმათავისუფლებელ მოძრაობას. ის ხომ თვითონაც იბრძოდა თავის დამოუკიდებლობისათვის.

ვერასოდეს დავეთანხმებით რუსის ემიგრაციას, რომელიც უარყოფს უკრაინელ ერის არსებობას და რუსეთის მტრობად მიაჩნია ის გარემოება, რომ პოლენეთში მცხოვრებ ხუთ მილიონ უკრაინელს რუსებად არ ვთვლით.

ჩვენ თანავუგრძნობთ ქართველებს და სხვა კავკასიელებს, მაგრამ საქართველო განა რუსეთია? თურქესტანში რუსები მკვიდრთა ორ-სამ პროცენტს თუ შეადგენენ და ჩვენ არ შეგვიძლია რუსეთის დიდებისათვის ჩვენი სიმპატია მოვაკლოთ დაჩაგრულ ერებს. ბ. კერენსკი იმით ცთილობს სახელი გაუტე-

ხოს უკრაინელ, კავკასიელ და თურქესტანელ მამულიშვილების იდეალისტურ მისწრაფებას, რომ უწოდებს მათ პოლენეთის გენერალური შტაბის აგენტებს და უკვირს, რომ ისინი მიმართავენ პოლენეთს. რომელიც მათ თანავუგრძნობს, და კერენსკისთან ერთად არ მუშაობენ რუსეთის დიდებისათვის.

აი ამიტომ, რომ უმჯობესად მიგვაჩნია სტალინის მართველობა ვიდრე კერენსკისა თუ მილიუკოვის. მართალია სტალინიც ცენტრალისტია, მაგრამ ბოლშევიკური იდეოლოგია ასეა თუ ისე მაინც აბრკოლებს სტალინის ბრძოლას განაპირა ნაწილების ეროვნულ მისწრაფების წინამდევ.

ჩვენ ახრად არა გვაქვს არც ანექსია და არც თავდასხმა, ხოლო არ შეგვიძლია ჩვენი მეგობრობა რუსის ხალხთან დავამყაროთ უსამართლობაზე ჩვენი ყოფილი ამხანაგების მიმართ, რომლებთან ერთად ვებრძოდით მეფის თვითპყრობელობის ძალმომრეობას. ეს გულახდილად უნდა განვაცხადოთ.

**ძ-ბ მ. მიუხატის მოხსენება:**

**„მძკოს ვიჟის ძველანაში“**

საქართველო უსამართლობის მსხვერპლია, ჭეშმარიტებისათვის თავდადებული და ყოველივე მოყვარე სამართლიანობისა. ბუნებრივად, მასთან უნდა იყოს; ეს ასეც არის. ცნობილია, რომ საქართველოს დიდი თანავგრძნობა აქვს ყველა კულტურულ ერებში. არსებობს სხვადასხვა ალაგას მისი დამხმარე საზოგადოებანი. ასეთივე საზოგადოება არსებობს პარიზში «Amis de la Géorgie»-ს სახელწოდებით. საზოგადოების მიზანია «ემსახუროს საქართველოს საქმეს და განავითაროს ინტელექტუალური და კულტურული ურთიერთობა ფრანგთა და ქართველებს შორის» (წეს. მესამე მუხლი).

საზოგადოების გამგეობამ გამართა თერთმეტ თებერვალს პარიზში საგეოგრაფიო საზოგადოების დარბაზში საუბარი საქართველოს შესახებ. თავჯდომარეობდა საფრანგეთის ყოფ. მინისტრი საქართველოში აბელ შვეალე. მოხსენება გააკეთა ქ-ნ ანილ მიურატმა. დარბაზი მსმენელებით გაჰყვდილი იყო. დაესწრენ წარმომადგენელი სომხეთის, ადერბეიჯანის, შთის. დიდი ნაწილი საზოგადოების იყვნენ ფრანგები.

საუბარი გახსნა ბ. შვეალემ. მან მოკლეთ გადაცნო საზოგადოებას მიურატების დამოყვრება და დიანებთან და ის გავრეშობა, რომლის გამო ქართველობა ამ გვარეშობისათვის უცხო ერი არ არის.

შემდეგ ქ-ნ მიურატს ეძოვეს სიტყვა. მას საზოგადოება მსურვალე ტაშით ხვდება. მოხსენება ორი საათი გაგრძელდა. მომხსენებელმა მკერმეტყველურათ გადაშალა დამსწრეთა წინაშე საქართველოს წარსული და აწმყო. მან დაიწყო მორეულ წარსულიდან და დღევანდლამდე აღწუსხა თითქმის ყველა უმთავრესი მომენტები ჩვენი ცხოვრებისა. მოხსენებას თან ახლდა პროექტცია სურათების საქართველოს ცხოვრებიდან, რამაც დიდათ საინტერესო გახადა მოხსენება. სურათები მეტად მოხდენილია და მი-

დრულათ იყო შერჩეული. აქ თქვენ ნახავდით საქართველოს ამწვანებულ მდელაებს და თოვლით დაფარულ სალ-კლდეებს, მთიდან მოვარდნილ გიჟმაქ აქორჩილ მდინარეებს და მხიარულათ მორაქრავე პატარა ლელებს. ტყე-მინდორი, მთა და ველი, მათი თავისებური შეწავებანი და ბუნების სხვა სიმდიდრე და სხვადასხვაობანი უხვათ იქნა გადაშლილი საზოგადოების წინაშე. მშვენიერი იყო აგრეთვე სურათები ქართველთა ზნე-ჩვეულების და ძველი ხუროთმოძღვრების ნაშთების.

მომხსენებელს თითქმის არ დაუტოვებია არც ერთი უმთავრესი დარგი ჩვენი ცხოვრებისა: პოლიტიკა, მეცნიერება, ხელოვნება, ზნე-ჩვეულებანი, — ყოველივე ეს მოკლეთ და ნიჟიერათ იქნა გაშუქებული.

ჩვენ აქ მოხსენების სრული შინაარსის გადმოცემას არ ვფიქრობთ, ეს არ შეადგენს ამ წერილის საგანს, ხოლო საჭიროთ მიგვაჩნია ზოგიერთი მომენტების აღნიშვნა, რასაც თვით მომხსენებელმა ხაზი გაუსვა.

საქართველო უძველესი ქვეყანაა. ის თითქმის მუდამ ბრძოლაში ვარგე მტრებთან, მაგრამ მაინც ქმნის და ანვითარებს საკუთარ ეროვნულ კულტურას, ქართული ტიპი (ფიზიკური სახეობა) იგივეა დღეს, რაც იყო უძველეს დროს. — საკვირველი უნარი ფიზიკური თვითსახეობის შენარჩუნებისა, თუმცა, ხშირათ აწიოკებული სპარსთა, არაბთა და ოსმალთა მიერ, ფიზიკურ გადაგვარებას ვერ უნდა აცდნოდან. იგივე სიმტკიცე და უნარიანობა ფსიქიკურ თავისებურების შენარჩუნება-განვითარებაში: ქართული ენა, თუმცა რამდენიმე სპარსულ-არაბული სიტყვა შეპარულა ქართულ ლექსიკონში, არის ქართულ ეროვნულ გენიის საკუთარი ნაყოფი. ქართველი — რაინდი, გაბედული, თავდადებული, მტერთან შეუპოვარი, მოყვარესთან სათნა და თავდაბალი.

ამ სულიერ სიმდიდრეს და გამძლეობას ზედ ერთვის ნივთიერი სიმდიდრე: ტყე, მადნეულობა, სამკურნალო წყლები, საავარაკო ადგილები, ჩაი, თამბაქო და სხვ.

საქართველო ტერიტორიალურათ და ეთნოგრაფიულათ მთლიანი ქვეყანაა. მას აქვს ყველა ობიექტიური პირობები საკუთარი არსებობისათვის და განსაკუთრებით ის, რომ ქართველებს აქვთ საერთო საქმისათვის ერთად ბრძოლის სურვილი. რაც მათი გამარჯვების თავდება.

მომხსენებელი მსურვალე და ხანგრძლივი ტაშით იქნა დაჯილდოებული.

ამავე საღამოს იქნა გავრცელებული წიგნაკი «Les amis de la Géorgie», გამოცემული ზემო აღნიშნულ საზოგადოების მიერ. აქ მოკლე, მაგრამ თბილი ენით არის მოთხრობილი საქართველოს თავგადასავალი, უკანასკნელი ამბების შესახებ, სხვათა შორის, ვკითხულობთ: როდესაც თბილისს უტყვედენ 1921 წ. თებერვალში, საბჭოების «დელეგაცია» (7-8 ასი კაციდან შემდგარი) იქ უხვათ არიგებდა, ექვსი თვის განმავლობაში, ოქროებს რომ ხალხში აჯანყება გამოეწვია. მაგრამ არავითარ კომუნისტურ გამოსვლას არ ქონია ადგილი. არავითარი გამოძახი-

ლი ხალხში კომუნისტურ მოწოდებებზე. შემოსევის დილაშდე თვით ლენინი და ჩიჩერინი უცხადებენ ყორდანას. რომ არავითარ მტრულ მოქმედებას ადგილი არ ექნებოდა.

საქართველოს დაპყრობა — ეს ორპირობის და ძალმომრეობის აქტია. საქართველოს ამისათვის არ მიუცია არავითარი საბაბი, არც მილიტარული წინამძღვრებით და არც საერთო აგრესიული სურვილებით.

მას შემდეგ სასტიკათ იქნა აღკვეთილი ანტიბოლშევიკური გამოსვლები. ათასობით იქნა დახვრეტილი ქართველი ერთგული თავის სამშობლოსა. ათასობით ციხეებში არიან გამომწყვდეული, რამოდენიმე ათასი კიდევ გადმოხვეწილი. მოსწავლე ახალგაზდობა დღიურ მუშებათ გადაიქცენ. აუტანელი ჰავისა და უჩვეულო პირობების გამო ბევრი მათგანი იხოცება.

საქართველოს დამხმარე საერთაშორისო კომიტეტი არის ენევაში, არსებობს ქართული ასოციაციები ყველა დედა ქალაქებში. ვიყოთ საფრანგეთში მყოფ ქართველებისათვის ის, რაც ვიყავით პოლონებისათვის, ჩეხებისათვის, სერბიელებისათვის, ყველა იმ ერებისათვის, რომელთაც არ უნდათ სიკვდილი. უფლებას, საქართველო არსებობს მუდამ. ის წარმოდგენილია მთავრობებთან. ის უნდა იყოს აგრეთვე წარმოდგენილი საერთაშორისო საზოგადოებრივი აზრის წინაშე ფრანგების აქტიური სიმპატიით: ეს არის მიზანი des «Amis de la Géorgie».

დამსწრე.

### ს ა ზ ღ ვ ა რ კ ო ნ ფ ე რ ე ნ ც ი ა

(წერილი ლენინდგან)

პირველი საზღვაო კონფერენცია ვაშინგტონში გაიხსნა 1921 წლის დამოვეს. კონფერენციას მამინ დაეწრენ ამერიკის, ინგლისის, საფრანგეთის, იტალიის წარმომადგენლები. ამ ხუთ სახელმწიფოთა შორის მოხთა შეთანხმება, რომლის ძალით მათი უდიდესი საომარი გემების (Capital Ships — ათი ათას ტონანზე უდიდესი დიდნოუტების და კრეისერების) რიცხვი უნდა შემცირებულიყო. ასეთი დიდი საომარ გემებიდან ინგლისმა დაიტოვა ოცი, ამერიკამ — 18, იაპონიამ, საფრანგეთმა და იტალიამ — ათ-ათი. დანარჩენი Capital Ships კი უნდა ჩაეძირათ, რაც შემდეგ სისრულეში იქნა მოყვანილი. დატოვებულ გოლიათ გემების სამსახურის ვადა განსაზღვრულ იქმნა კონფერენციის მიერ 20 წლით დღიდგან მათი წყალში ჩაშვებისა. როცა რომელიმე ამ გემთგანი შემდეგ გაცვთებოდა მას სამსახური აღარ შეეძლებოდა, ამათუ იმ სახელმწიფოს ხელშეკრულება უფლებას აძლევდა ის შეეცვალა და მის მაგიერ ახალი აეშენებია. თვითუელ სახელმწიფოს მიეკუთვნა აგრეთვე განსაზღვრული ტონაჟი და მის ფარგლებში ნება იყო დართული ეშენებიათ სამხედრო გემები, ოლნდ, ზემოთ აღნიშნულ შესაცვლელ Capital Ships გარეშე, გემი არ უნდა ყოფილიყო ათი ათას ტონიანზე მეტი და მასზე არ უნდა ქონოდათ 8 გოჯიანზე დიდი ზარბაზანი. ე. ი. განსაზღვრულ იქნა გემთა და მათი ხა-



რბანების სიდიდე, მაგრამ არც გემთა რიცხვი და არც გემთა სხვადასხვა კატეგორიების ტონაჟი განსაზღვრული არა ყოფილა. ვაშინგტონის კონფერენციის დადგენილება ძალაში უნდა დარჩენილიყო 1936 წლამდე. როცა მოიწვევდნენ მეორე კონფერენციას და გადასინჯავდნენ, ან ხელახლათ დაადასტურებდნენ 1927 წლის დადგენილებებს.

1925 წლის დამლევს ერთა ლიგის საბჭომ აირჩია განიარაღების კონფერენციისათვის მოსამზადებელი კომისია. ამ კომისიას უნდა ეზრუნა საერთო განიარაღების პრობლემაზე. ამ კომისიის პირველი სხდომა შესდგა 1926 წლის მაისში ქენევაში. თუმცა ამერიკა ერთა ლიგაში არ შედის, მაგრამ ამ კომისიის კრებებზე მან მაინც გაგზავნა თვალყურის მკვლევართა ჩარმომადგენელი—გიბსონი. კრებებზე ყველას მიერ მიღებულ იქნა ის აზრი, რომ სახმელეთო, საჰაერო და საზღვაო შეიარაღებათა შორის არის მკვიდრი და განუყოფელი კავშირი და შეუძლებელია მხოლოდ სახმელეთო შეიარაღების საკითხზე ვილაპარაკოთ და საზღვაო შეიარაღების საკითხი კი ღიათ დატოვოთ. ასეთს აზრს იცავდა განსაკუთრებით საფრანგეთი, იტალია და იაპონია. მაგრამ სწორეთ განიარაღების საკითხის გამო მოხდა მოსამზადებელი კომისიაში დიდი დავა და კამათი და თავი იჩინა ისეთმა წინააღმდეგობამ, რომელიც კომისიამ ვერც კი გადალახა. ამერიკა თხოულდბდა სამხედრო გემთა სხვადასხვა კატეგორიების განსაზღვრას. ეს განსაზღვრა უნდა შეეხებოდა განსაკუთრებით სწრაფლმავალ კრეისერებს, ნაღმონებს და წყალქვეშა ნაგებს. ინგლისი კი თანხმდებოდა მხოლოდ თვითნებულ სახელმწიფოს სამხედრო ფლოტის საერთო ტონაჟის განსაზღვრაზე. განსაზღვრულ ტონაჟის ფარგლებში კი შემიდევ, ინგლისელების აზრით, თვითნებულ სახელმწიფოს უფლება უნდა მისცემოდა ემუშებია ის გემები, რომელიც მას მოესურვებოდა. ინგლისს საბუთად ის მოყავდა, რომ მისი კოლონიები გაპნეული იყო ყოველგან მთელ დედამიწის ზურგზე, ამ კოლონიებს შორის მანძილი მეტად დიდი იყო და მთელი მისი ვაჟრობის და კოლონიებთან მისავალი გზების დასაცავად საჭიროდ სთვლიდა სამხედრო გემთა სპეციალური კატეგორიების ყოლას. მას განსაკუთრებით აინტერესებდა მსუბუქი და სწრაფლმავალი კრეისერები. ამერიკელების აზრით კი ერთი განსაზღვრული ტონაჟის ისე სარგებლობა, როგორც ეს თვითნებულ სახელმწიფოს მოესურვებოდა, გამოიწვევდა საერთო უნდობლობას და კიდევ უფრო განზრდიდა მეტოქეობის სულისკვეთებას. ამერიკა და ინგლისი ვერ შეთანხმდნენ და მოსამზადებელი კომისიის ქენევის ყრილობაც უშედეგოთ დამთავრდა. ამ ყრილობის ჩაშლამ მეტად ცუდი შთაბეჭდილება დასტოვა და უკვე საზღვაო შეიარაღების გადიდებაზე დაიწყეს ლაპარაკი.

1927 წლის დასაწყისში ამერიკის პრეზიდენტმა კულიჯმა მიმართა ხუთ დიდ საზღვაო სახელმწიფოთ მოწვევით კონფერენცია საზღვაო შეიარაღების განსაზღვრის საკითხების გასარკვევათ. კულიჯის მოწვევას დადებითათ პასუხი გასცეს მხოლოდ ინგლისმა და იაპონიამ. საფრანგეთმა და იტალიამ კონფერენციაზე დასწრებაზე უარი სთქვეს.

თავიანთ უარს მით ასაბუთებდნენ, რომ განიარაღების საკითხებზე ეხლა ერთა ლიგა მუშაობს და ეს მის კომპეტენციას შეადგენს. ერთა ლიგის პრესტიჟი არ უნდა დაზარალოთ. ნამდვილათ კი მათ ემინდათ, ისინი იძულებული არ განდარიყვნენ მიეღოთ მათთვის არახელსაყრელი გადაწყვეტილებანი. 1927 წლის ივნისში, ქენევაში შეიკრიბნენ მხოლოდ ამერიკის, ინგლისის და იაპონიის წარმომადგენელნი, მაგრამ მათი შეთანხმება ვერ მოხერხდა და კონფერენცია დაიშალა.

1928 წელს უტბათ მოხდა შეთანხმება ინგლისსა და საფრანგეთს შორის სახმელეთო და საზღვაო შეიარაღების საკითხების შესახებ. ფრანგებმა მიიღეს ინგლისელების პროექტი, რომლის მიხედვით თვითნებულ დიდ სახელმწიფოს ეკუთვნოდა ერთი განსაზღვრული ტონაჟი და მის ფარგლებში მას შეეძლო ემუშებია ეს თუ ის გემები. ინგლისელები კი დათანხმდნენ გაწვრთნლ რეზერვების განსაზღვრა არ მოეთხოვათ. ეს უკანასკნელი საკითხი წინეთ მოსამზადებელ კომისიაში დიდ დავას და უთანხმოებას იწვევდა. გაწვრთნილ რეზერვების განსაზღვრას თხოულობდნენ ინგლისელები და ამერიკელები, რაზედაც ფრანგები და იტალიელები არაფრით არ თანხმდებოდნენ.

ინგლის-ფრანგულ კომპრომისმა ყოველგან დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. მასში დაინახეს ერთნაირი ჩუმი შეთანხმება ინგლისსა და საფრანგეთს შორის და ამ კომპრომისს დიდი უნდობლობით შესვდნენ თვით ინგლისში და განსაკუთრებით კი ამერიკაში. ამერიკამ და იტალიამ კატეგორიულათ უარყვეს ინგლის-საფრანგეთის შეთანხმება, რის შემდეგ ამ ორმა უკანასკნელმა უარი სთქვეს მასზე.

1929 წლის გაზაფხულზე ერთა ლიგის მოსამზად. კომისია ხელახლა შეიკრიბა. იქ უკვე მოხდა შეთანხმება სახმელეთო შეიარაღების საკითხის გამო. ინგლისმა და ამერიკამ მიიღეს საფრანგეთის წინადადება განსაზღვრა არ გავრცელებულიყო გაწვრთნილ რეზერვებზედაც. ამ კომისიის კრებებზე ამერიკის წარმომადგენელმა გიბსონმა პირველმა შეიტანა წინადადება ხელახლათ მოეწვიათ საზღვაო კონფერენცია. შემდეგ ზაფხულში ინგლისის საპარლამენტო არჩევნებს შედეგათ მოყვა მუშების მთავრობის შედგენა. ამ მთავრობამ სხვა საგარეო საქმეთა შორის თავის უმთავრეს მიზნათ საზღვაო შეიარაღების შეზღუდვის საკითხი დაისახა. ყველას ახსოვს ამ მიზნით მაკდონალდის მოგზაურობა ამერიკაში გასულ შემოდგომაზე და ის გამოძახილი და თანამგრძობა, რომელიც ამ მოგზაურობამ პოვა როგორც ვეროპაში ისე მთელ ამერიკაში.

პუვერს და მაკდონალდს შორის მოხდა შეთანხმება წინასწარი და გადაწყდა ხუთ დიდ საზღვაო სახელმწიფოთა კონფერენციის მოწვევა. ეს კონფერენცია ამ წლის 21 იანვარს გაიხსნა ლონდონში.

თუ ლონდონის კონფერენცია კარგათ დამთავრდა და იქ ხუთ სახელმწიფოთა შორის შეთანხმება მოხდა, ეს მაინც არ იქნება უკანასკნელი გადაწყვეტილება. ლონდონის კონფერენციამ, როგორც ეს მაკდონალდმა არა ერთხელ განაცხადა ამერიკაში, თუ

თემთა პალატაში და როგორც ეს სჩანს ჰენდერსონის ხუთ სახელმწიფოთა მოსაწვევე წერილიდან, ნიადაგი უნდა მოუშხადოს ერთა ლიგის მოსამზადებელ კომისიას, რომ შემდეგ მოწვეულ იქნას საერთაშორისო განიარაღების კონფერენცია.

საზღვაო განიარაღება მკვიდრათ დაკავშირებულია სახმელეთო და საჰაერო განიარაღებასთან. გარდა ამისა დღეს ლონდონის კონფერენციას არ ეწრება ბალტიის საზღვაო სახელმწიფოები. გერმანიას დღეს, მაგალითად, ყავს ათიათას ტონიანი ახალი კრეისერი და მას უფლება აქვს კიდევ ექვსი ასეთი კრეისერი იყოლიოს, რაც მას სავსებით გააბატონებს ბალტიის ზღვაზე. ბალტიის და შავ ზღვებზე რუსეთსაც ყავს სამხედრო გემები. ეს გემები დღეს დიდ არაფერს წარმოადგენენ. მაგრამ სახელმწიფოს, რომელიც არ ცნობს არავითარ საერთაშორისო უფლებებს და არ გრძნობს არავითარ პასუხისმგებლობას, ხომ შეუძლია შეეცადოს იყოლიოს მეტი ძალები. კონფერენციას არ ეწრება არც ისპანია, არც იუგოსლავია, არც საბერძნეთი და არც ფინლიანდია. ყველა ეს სახელმწიფოები კი დაინტერესებულნი არიან საზღვაო შეიარაღების საკითხებით. აი მთელი რიგი რთული საკითხებისა, რომელსაც დღეს კონფერენცია არჩევს, მაგრამ რომელნიც მოგვარებულ და გადაწყვეტილ უნდა იქნას საერთაშორისო განიარაღების კონფერენციის მიერ. ასეთია მოკლეთ საზღვაო შეიარაღების განსაზღვრის საკითხის ისტორია.

ლონდონის კონფერენციაზე ხუთ სახელმწიფოთა შორის ყველაზე უფრო შეთანხმებულათ დღეს ინგლისი და ამერიკა გამოდიან. მათ შორის წინანდელი უთანხმოებანი თითქმის ამოწურულია. ინგლისის და ამერიკის სამხედრო ფლოტთა შორის პარიტეტის პრინციპი, რასაც წინეთ ინგლისის კონსერვატიული მთავრობა გადაჭრით უარსყავდა, მიღებულია დღეს მაკდონალდის მთავრობის მიერ. ესლა მთავარი საკითხია, თუ როგორ უნდა გატარდეს ცხოვრებაში ეს პრინციპი. ამ მხრივ უკვე ამერიკის და ინგლისის დელეგაციებმა გააკეთეს კონფერენციაზე განცხადებები, რომელნიც ერთმანეთისაგან არსებითად არ განსხვავდებიან.

ვაშინგტონის კონფერენციამ უდიდესი საომარ გემების რიცხვი განსაზღვრა ინგლისისათვის—20, ამერიკისათვის—18 და იაპონიისათვის კი ათი. ესლა ამერიკის და ინგლისის წარმომადგენლები წინადადებას იძლევიან აღარ დაუცადონ 1936 წელს, როცა ვაშინგტონის დადგენილებები ხელახლად უნდა ყოფილიყო გადასინჯული და ამ ცოტა ხანშივე, 1931 წ. შემცირებულ იქნას ამერიკის და ინგლისის დრედნოუტების და მძიმე კრეისერების რიცხვი. ინგლისის წინადადებაა—ინგლისის, ამერიკის და იაპონიის ამ გემთა რიჯები 20—18—10-დან შემცირებულ იქნას 15—15—9-მდე. ინგლისის ამ უკანასკნელ წინადადებას ამერიკა და იაპონია თანაგრძნობით შესვდნენ და შესაძლებელია, რომ ეს რიცხვი კიდევ შეამცირონ. ინგლის და ამერიკას შორის მიღწეულია შეთანხმება კრეისერების პარიტეტის შესახებაც, ხუთ სახელმწიფოთა დელეგაციები შეთანხმებული არიან აგრეთვე ერთ დიდ პრინციპალურ საკითხში, რომელიც წინა

საზღვაო კონფერენციებზე დიდ შესლა-შემოსლას იწვევდა. გამონახულია კომპრომისული ფორმულა, რომელიც აერთებს და ერთმანეთს უკავშირებს საერთო ტონაჟის და გემთა სხვადასხვა კატეგორიების ტონაჟის საკითხებს.

კონფერენციაზე მეტად რთული და ძნელია წყალქვეშა ნავების საკითხი. ინგლისი და ამერიკა წყალქვეშა ნავებს სთვლიან არა თავდაცვის, არამედ აგრესიობის იარაღათ. იკონებენ რა დიდი ომის დროს სავაჟრო გემების და მათზე მოგზაურთ წინააღმდეგ დიდი უბედურების მიყენებას წყალქვეშა ნავების მიერ, ინგლისი და და ამერიკა თხოულობენ წყალქვეშა ნავების სრულიად მოსპობას. საფრანგეთი და იაპონია წყალქვეშა ნავებს თავდაცვის იარაღათ სთვლიან და მათი მოსპობის წინააღმდეგი არიან. მაგრამ თანახმა არიან, რომ ამ გემებს სასტიკათ აეკრძალოს ომის დროს სავაჟრო გემებზე თავდასხმა და გარკვევით განსაზღვრულ იქნას მათი ფუნქციები. იტალია კი შუათანა ხაზს იცავს: ის პრინციპიალურათ არ არის წინააღმდეგი, რომ წყალქვეშა ნავები იქნას მოსპობილი, თუ ამაზე ყველა სხვა ქვეყნებიც დასთანხმდებიან. ყველავს საკითხები ჯერ კომისიებში არის გადაცემული, რომ იქ მოხდეს საბოლოო შეთანხმება.

კონფერენციამ, მხოლოდ სამი კვირაა, რაც მუშაობა დაიწყო და მას ჯერ კიდევ მრავალი და მეტად ძნელი საკითხები აქვს გადასაწყვეტი. კონფერენციის მიღწევებზე შემდეგ.

### ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ა მ ბ ე ბ ი

(გასეთობიდან)

იანვარში შაქარი ეძლევოდათ მუშამოსამსახურეებს ა სერიის წიგნაკით 1000 გრ., ბ სერიით—800 და გ სერიით—1200. გარდა ამისა მუშაკობის წევრებს ეძლევათ ჩვეულებრივ ფასებში 200 გრამი და ორმაგ ფასებში 1000 გრ.

— კანეთში ბოდბის და მალაროს საძოვრების მახლობლად აღმოაჩინეს ძველი დროის გამოქვაბული, ბერების საცხოვრებელი სენაკებით, საკუჭნაოებით და სხვა სადგომებით. იქვე აღმოჩენილ იქნა ეკლესიის ნანგრევები, რომლის კედლებზე დაცულია საინტერესო მხატვრობა.

— ტფილისში არსებობს მუშაკობის სასადილო 6, ა. კ. სამხედრო სამომხმარებლო საზოგადოების 11 სასადილო და 7 ბუფეტი, სახალხო კვების კოლექტივის 20 სასადილო, ა. კ. სატრანსპორტო სამომხმარებლო საზოგადოების 1 სასადილო და 1 ბუფეტი, ხოლო კერძო სასადილო 77, რესტორანი 64, კაფე-საკონდიტერო 79 და კაფე ცივი სასმელებით 77.

— ა. კ. სატრანსპორტო სამომხმარებლო საზოგადოების (კოოპერაციის) სავაჟროებში რევიზიამ აღმოაჩინა სრული უწყესრიგობა, მექთამეობა და ქურდობა.

— საქართველოს სამხატვრო აკადემია გადაკეთდა სამხატვრო—ტექნიკურ ინსტიტუტად.

— საქარ. ც. ა. კომიტეტმა დაადგინა იუსტიციის და შინაგან საქმეთა კომისარიატების გაუქმება. მათი საქმეები გადაეცემა სხვა დაწესებულებებს.



— იანვრის დამლევს ტფილისში დაიწყეს ყოფ. სამხედრო ტაძრის დანგრევა.

— ტფილისში ა. კ. სატრანსპორტო კოოპერაციის აღმოაჩინეს 50 ვაგონი გაფუჭებული კარტოფილი.

— პელაგრის ეპიდემიამ თავი იჩინა ბორჩალოს მაზრაში.

— აფხაზეთში გამოდის გაზეთი ლაზურ ენაზე.

— საქარ. კომ. პ. ც. კომიტეტმა დაადგინა გამოცემა მეგრული გაზეთი მეგრულ გლეხებისათვის.

— დაამთავრეს ზარების ჩამოსხნა ტფილისის ეკლესიების სამრეკლოებიდან. სხვათა შორის ჩამოიღეს სიონის ეკლესიის 640 ფუთიანი ზარი. ზარები გადაეცა ლითონტრესტს.

— ქუთაისში მოჰკლეს კომუნისტი ელიგულაშვილი.

ქუთაისის მახლობლად ს. გვეთში დასწვეს კოლექტივის წევრის ბოდუკიას სახლი, ბელელი, კამეხები, ძროხა და ოჯახის მთელი ქონება.

ქუთ. მაზრაში ს. დიხაშორში კოლექტივის მოწყობილ მიწაზე ღამით შეცვინდნ უცნობნი, ამოგლიჯეს და გაანადგურეს თუთის ნერგები და დაანგრეს ღობეები და პრემკრები.

სოფ. ახმეტაში დასწვეს გლეხთა ახალგაზდობის სკოლა.

ობჩის (ქუთ. მ.), ოყურეშის (ლენჩხუმი) და ბარციხის (ქუთ. მ.) გლეხებმა უარი განაცხადეს ინდუსტრიალიზაციის სესხის ხელის მოწერაზე.

ს. დუროპში (გუდაუთის მ.) დასწვეს კოლმეურნეობის თამბაქოს საწყობი.

რუისის თემში (გორის მ.) გლეხები მასიურად ხოცავენ ღორებს; ემინიათ, მთავრობა წაგვართმევსო.

ზუგდიდის რაიონში «კულაკობა» ყოველ ზომას ხმარობს კოლექტივიზაციის წინააღმდეგ: კოლექტივის ქონებისთვის ცეცხლის წაქიდებს, საქონლის დახოცვას, კოლექტივის წევრების ფიზიკურ შეურაცხყოფას და სხვ. აგრცელებენ ხმებს, კოლექტივიზაცია ნიშნავს გლეხკაცობას ყაზარმებში გაერთიანებასო.

სოფ. კახიანში დასწვეს კოლექტივის წისკვილი. —ტიბანში გაიტაცეს კოლექტივის 120 ცხვარი. —ს. ბივანში თავს დაესხნენ კოლექტივის წევრების ბინებს, გაიტაცეს ცხვრები, ხარკამეჩები და ცხენები. ბაღდადის რაიონში კოლექტივის წევრის სამოცვედრიან კასრში და კოლ. მეურნეობის უაში ნავთი ჩაასხეს. კოლექტივის აქტიურ წევრს მიუგდეს მკვდარი ძაღლი წარწერით «სიკვდილი კოლმეურნეობის წევრებს». «კულაკები» ხმებს აგრცელებენ: უორდანი აწყობს ახალ გამოლაშქრებას საქართველოზე და როდესაც ის ჩამოვა, კოლ. მეურნეობის წევრებს მისას არ მისცემსო.

ჩაკვიჯის (ზუგდ. მაზ.) ჩაის კოლექტივის ხელმძღვანელს გზაში დახვდნენ უცნობი პირნი და სასიკვდილოთ დასწრეს.

ს. ლაფანურში (თელავ. მ.) მოჰკლეს კოლექტივის ხელმძღვანელი. —დარჩელის თემში (ზუგ. მ.) «კულაკებმა» გლეხებს ხელწერილი ქაღალდები შეუყა-

რეს სახლებში: კოლექტივში ნუ შეხვალთ, თორემ დაგზოცავთო.

კახეთის მთელ რიგ სოფლებში «კულაკობა» აშკარად აჩანავებს და ღუპავს მესაქონლეობას; საუკეთესო ხარებს, კამეჩებს და ცხენებს ჩაღის ფასად ყიდიან ან თვითონ ხოცავენ. გასულ შემოდგომაზე კახეთის «კულაკებმა» ადერბეიჯანელ სპეკულიანტებს და ყასბებს მიყიდეს 82 ათასი დედალი ცხვარი. კახეთს მოელის მეცხვარეობის სრული განადგურება. აღმასკომებმა აკრძალეს მუშა საქონლის დაკვლა, მაგრამ გლეხები ასეთ ხერხს მიმართავენ—არაფერს აქმევენ საქონელს, ცუდათ უვლიან, რის გამო საქონელი ავადმყოფდება და იღუპება.

განათლების მუშაკთა პრ. კავშირის ცენ. გამგეობა აცხადებს, რომ ზოგიერთ ოლქებსა და მაზრებში «კულაკებმა» დევნა დაუწყეს იმ მასწავლებლებს, რომლებიც აქტიურად იბრძვიან კოლექტივიზაციის ფორმტზე.

ს. ქალაში (გურია) კოლექტივის წევრთა კრებაზე შეიქრა «კულაკი» და მაგრად სცემა კრების თავმჯდომარეს.

ახალციხის მაზრაში კოლექტივიზაციისთვის იარაღით წინააღმდეგობის გაწვევისთვის სასამართლომ სამს გოლეს დახვრეტა მიუსაჯა.

ციხე-კახათის თემში (ზუგდ. მ.) დასწვეს კოლმეურნეობის ხელმძღვანელის სახლკარი. ნიგოზიის თემში დასწვეს თემსაბჭოს შენობა. —ბაღდათში (ქუთ. მ.) «კულაკების» შეტევამ მწვავე ხასიათი მიიღო. აქტიურ გლეხებს ემუქრებიან. წითელ ხევი მუქარის განცხადებები გააკრეს. —ბაშის (სენ. მ.) კოლექტივიზაციას ეწინააღმდეგებიან ზოგიერთი კომუნისტებიც.

—ს. ხანდაკში (გორის მ.) «კულაკმა» სცემა კომკავშირელს, რომელიც მოითხოვდა კოლექტივიზაციას. —ურბილოში მუშათა ბრიგადის წევრებს დაუშინეს ქვები და წაუსიეს ძაღლები. —ოზურგეთის ბაზარზე დიდძალი დასაკლავი საქონელი გამოყავთ გასაყიდათ. —ს. ტობანიურში (ქუთაისის მ.) დასწვეს კოლმეურნეობის წევრის სახლკარი. —სალმინაოში (ქუთ. მ.) მოჰკლეს კოლმეურნეობის წევრი. —სახანაოში (შორაპ. მ.) დასწვეს კოლმეურნეობის ზვინი.

### რას სწავიან ბოლშევიკებზე

«ბერ. ცაიტუნგში» ცნობილი გერმანელი მრეწველი რეხბერგი სწერს, რომ დღევანდელი მსოფლიო ეკონომიური კრიზისი უმთავრესად გამოწვეულია იმით, რომ ბოლშევიკებმა გააღატაკეს რუსის ხალხი და მოუსუსეს მას ყოველივე საშუალება რისიშე შეძენისა; ბოლშევიკების მეოხებითვე დაღარიბდა ჩინეთი და საერთოდ კომუნისტების მუშაობა იქითკენა მიმართული, რომ ქონებრივად დასცენ ევროპა და მერე ადვილად დაეპატრონონ მას. ამიტომ—ამბობს რეხბერგი—საქიროა გადაჭრილი ბრძოლა ბოლშევიკების წინააღმდეგ საერთაშორისო მასშტაბით.

განთ «ურნალში» ლეფევი ასე ავგიწერს თავის შთაბეჭდილებებს მოსკოვში: «მიდინარე ქუჩაში, გინდათ შეამოწმოთ ქუჩის სახელი, გაიხედავთ




და თქვენს თვალს წინ აღმართულია მსხვილი წარწერა: «კაპიტალიზმა მოსპო მილიონი გლეხები და შექმნა კერძო საკუთრება; საბჭოთა წყობილებამ კი გადაარჩინა გლეხები სიღატაკეს და განადგურებას». განაგრძობთ სიარულს, ახალ აფიშას ხედავთ: «ყველა გადადით განწყვეტულ მუშაობაზე. კვირა—ხუცეების, ლოთების და წარმაცების დღეა». გადადისართ მერვე მხარეზე, შეინებათ წიგნის მალაზიაში: სულ ერთფეროვანი ბროშურებია—ინდუსტრიალიზაციის, კოლექტივიზაციის შესახებ... ცნობის მოყვარეობა ძალაუნებურად გიჩლუნგდებთ. იქვე გვერდით სახელოსნოები გაცხარებით მუშაობენ ძველი ქვაბების, პრიმუსების, საათების შესაკეთებლად. აღტქმული ბრწყინვალე მომავალი ჯერ არ დამდგარა, ამიტომ ხალხმა ისევ წარსულის ნაშთებით უნდა გაიტანოს თავი... საბჭოთა მოქალაქეებს ყველას ერთნაირად აცვია—ყველას ერთნაირი ქუდი, ფეხსაცმელი, ბლუზა. ვინ ვინაა? ვერ მიხვდებით. ვერ გაარჩევთ ერთმანეთში მუშას, ინტელიგენტს, უსაქმოდ მოხეტიალეს. ყველას დაღლილობა ემჩნევა, სახე დაღვრემილი აქვს, ტანისამოსი გაცვეთილი. ყველა ერთმანეთს ჰგავს, როგორც ორი წვეთი წყალი».

პრაგაში ესლახან დაბრუნდა დიპლომატიური კურიერი, რომელმაც გახეტებ შემდეგი განუცხადა: მე წინად არა ერთხელ ვყოფილვარ მოსკოვში, მაგრამ ესლა სრულებით ვერ ვიცანი, ისე დაცემულა და გაცვეთილა. გარშემო სულ ჩამოხეული ტანსაცმელებია, დაღვრემილი და ბორბოტი სახეები. შემზარავი სიღატაკე. მთელი სიცოცხლის შინაარსს საკვების ძებნა შეადგენს. ქალაქის გარეგანი სახე საშინელია და ყოველ ნაბიჯზე ხვდებით ქალებს, რომლებიც რიგებში დგანან და საბჭოებს ღანძლით იხსნიებენ, თუმცა შარშანათ ჰქონდა ადგილი ასეთ გამოსვლებს. უფრო საინტერესოა საბჭოური აპარატის პერსონალის სულიერი განწყობილების გარდატეხა. დიდი ხანი არაა, რომ კომუნისტები ამყოფდნენ თავის პრივილეგიებით და მედიდურად დასტკეპროდნენ უპარტიო მცხოვრებლებს. დღეს სულ სხვაა. საბჭოთა მოხელეები, მილიციონერები ხაზგასმით გამოსთქვამენ უკმაყოფილებას მთავრობის განკარგულების მიმართ. ფსტის მოხელეები აცხადებენ: ჩვენ არაფერი გვაქვს საერთო ცენზურასა და გეგმუს მუშაობასთან. მილიციონერები თქვენს საზოგადოებას—ნუ გაგვრევთ ყანდარმებშიო. საბჭოთა დაწესებულებებში ხშირად გაიგონებთ სიტყვებს: «პოლიტიკას აკეთებენ მაღალ სფეროებში, სადაც ყველას ტვინი გადაუბრუნდაო». კომუნისტს დღეს ემძიმება თავისი წოდება და აშკარად გამოსთქვამს თავის შიშს მოახლოვებულ კატასტროფის წინაშე. სიღარიბე წარმოუდგენელია, ყველას დაფეთილი ტანისამოსი აცვია. განთავისუფლების მოახლოება არავის ახარებს. მეუბნებოდნენ: «ასე რომ კიდევ ორი წელი გაგრძელდეს, ჩვენ დავიღუპებით, ველარაფერი მოგვაბრუნებს». მაგრამ ასეთ უიმედოებთან ერთად არიან ისეთები, რომლებსაც საუკროდ მიანინათ ორგანიზაციის მოწყობა ბოლშევიკებთან საბრძოლველად.

დაისტამბა და იყიდება სელფ. და მცხ. კრებულო  
 „კ ა ვ შ ა ს ი მ ნ ი“  
 წიგნი მესამე შემდეგი შინაარსისა:  
 რეალ ამინი—დედა, გზაზე. რაღვინ—გოგინას, ხსოვნა. სტეკანე კახრადე—სანაპირო ქალაქი (დასასრული). ერის მარია რემარკე—დასავლეთით ახალი არაფერია (გერმანულით). რაბინდრანათ ტაგორე—სახლი და ქვეყანა (გაგრძელება). თამარ ვარდანისია—თათქარაქის მოდგმა (თეიმურაზ ხევისთავი). ი. მანწკავა—ერის მარია რემარკე. მ. წულღუციძე—ილია და აკაკი (პროფილი). შალვა ამირეჯიბი—აჩრდილი შარავანდედიანი. ხ. შაკეითიელი—ანთიმოზ ივერიელი. მ. ვარდანი—ჩვენი მეურნეობის საკითხები. ხ. ცოქია—ანდრია რახმაძე. ვ. ბოჯგუა—გილგამეშინი რ. არიფი—ჯვაროსანთა დროიდან.  
 რედაქცია და გამომცემლობა: ქართველ სტუდენტთა ეროვნული გაერთიანება.

მ ი ს ა მ ა რ თ ი  
 V. N O Z A D Z Ę  
 48, rue de Bagneux, sceaux (Seine) France.



**წიგნილი სპარსეთიდან**

14 ნანვრიდან, ერთ კვირის განმავლობაში, ბაქოელი ჩეკის სარდაფში დახვრეტილი იქნა 175 კაცი. დაახლოვებით, მარტო ამ თვის განმავლობაში, ამდონივე დახვრეტეს ტფილისშიაც.

ადამიანი ბედნიერათ თვის თავის თავს, თუ პერანგის ამარა თავს უშველა და თავი სპარსეთს შეაფარა. სამწუხაროთ, იყო შემთხვევა ამას წინათ, როცა რამდენიმე ახალგაზდა რუსი დიდი ვაი ვაგლახით გამოექცა ჯალათებს და თავი შეაფარეს სპარსეთს: ეგონათ, აქ მათი სიცოცხლე უზრუნველყოფილი იყო. მაგრამ ბოლშევიკების ჯაშუშებს აქაც არ სძინავთ. ვერ შესძლო სპარსეთმა შემოიხიზნულთა დაფარვა; საწყლებმა აქვე დახვრეტა ითხოვეს, ოღონდ ნუ გადაგვცემთ ბოლშევიკებსო. მაგრამ ამათ—უკან დააბრუნეს. რამდენიმე დღის წინად. გეგზე, მარტო ცარიელი იქვით, 24 კაცი დაატუსაღეს, ზოგს დააბრალეს ემიგრანტთა ლიტერატურის კონტრაბანდათ გადატანა, ზოგს კი სექულიანტობა. მათი ცოლ-შვილი ქუჩაში გაყარეს და მათი ქონება კი მიისაკუთრეს.

იმის მაჩვენებელად, რომ ხალხი საბჭოთა სამეფოში შიმშილით წყდება, ის უნდა ჩათვალოს, რომ ავერ ოთხ თვეზე მეტია, რაც ბოლშევიკებს სპარსეთში არ ჩამოუტანიათ, არამც თუ თეთრი, შავი ფქვილიც კი. უწინ კი, მიუხედავათ შიმშილისა, უკანასკნელ ლუქმას ხალხს ართმევდნენ და მთელი გემები ფქვილით დატვირთული მოდიოდა.

გვრისხელი.  
 დასაბეჭდი წებოლები, ფული და ხსვა უნდა გამოიგზავნდეს შემდეგი მისამართით:  
 M-r O U R A T A D Z Ę  
 10, rue Jules-Ferry, Leuville-s-Orge (S.-et-O.)  
 France